619
1962

# ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ
№ 2 თებერვალი 1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# რეაქციული ბიბლიოთეკა

№ 2 (127) თებერვალი, 1962 წ.

გამოცემის XII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საერთაშორისო-სამხედრო ჟურნალი

# საქართველოს ალკკ XXIV ყრილობა

26-27 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXIV ყრილობა.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში ყრილობის დელეგატებთან ერთად მოვიდნენ ძველი ბოლშევიკები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, თბილისის საწარმოთა წარმომადგენლები.

ყრილობაზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ჩერქეზიამ.

მოსმენილი იქნა საქართველოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ბ. კარტოზიამ.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში და დაამტკიცა საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობამ აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრები, აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობის დელეგატები.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას აკეთებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ჩერქეზია.

საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატები.

საქართველოს ალკკ XXIV ყრილობამ ერთხელ კიდევ ნათელყო ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მტკიცე დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო, მათი ერთსულოვანი მზადყოფნა — კვლავაც თავდადებით იბრძოლონ სკკპ XXII ყრილობისა და შვიდწლედის მიზანდასახულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ი. ჩოგოვაძე, საკავშირო ალკკ ც კ-ის მდივანი ვ. ა. საიუშევი.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა

# ჩვენი ცხოვრების დიდი ეპოქა

დიდი კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან შეიჯამა ჩვენი გმირი ხალხისა და მისი ავანგარდის — ლენინური კომუნისტური პარტიის დიადი შრომისა და უანგარო ბრძოლის დიდებული შედეგები, მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, კომუნიზმის გამარჯვების პროგრამა. ყრილობამ დასახა კაცობრიობის დიადი მომავლის — კომუნიზმის შშენებლობის კონკრეტული გზები.

ხუთი თვე გავიდა ოცდამეორე ყრილობის გახსნის დღიდან. ჩვენი საშობლოს ათეულ მილიონობით მშრომელი კარგა ხანია პარტიის პროგრამით დასახული დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრაზე მუშაობს. ფართოდ გაიშალა შუბობა პრიფსელების, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ყოველ დღეს ახალ-ახალი სასიხარულო ცნობები მოაქვს გაშლილი ფრონტიდან შშენებლობის უზნეობიდან. ჩვენი გმირი ადამიანები თავგადადებით მუშაობენ, რათა კიდევ უფრო მოვიახლოვოთ კაცობრიობის სანუკვარი ოცნება—კომუნიზმი. პრძენი ლენინი კონკრეტულ ამოცანას უსახავდა საბჭოთა ადამიანებს: „საქმე ახლა სწორედ იმას ეხება, რომ ყოველი მხრიდან შევუდგეთ იმ შენობის პრაქტიკულ ამოყვანას, რომლის გეგმა ჩვენ უკვე დიდი ხანია მოგსახეთ, რომლის ნიადაგს ჩვენ საკმაო ენერგიულობით ვიპარობდით და საკმაო სიმტკიცით დავიპყარით, რომლის მასალა ჩვენ საკმაო რაოდენობით მოვაგროვეთ და რომელსაც ახლა უნდა შემოვარტყათ დამბარე ხარაზრები, ჩავიცვათ სამუშაო ტანისამოსი, არ უნდა შევუშინდეთ მის გასვრას ყოველგვარი დამბარე მასალით, სასტიკად შევასრულოთ პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელ პირთა ბრძანებანი — და ეს შენობა უნდა ვაშენოთ, ვაშენოთ და ვაშენოთ". დიდი ლენინის ეს სიტყვები საოცარი სიზუსტით ემთხვევა ჩვენი ხალხის წინაშე დღეს დასმულ ამოცანას.

როგორი დიადი და თვალწარმტაცია უახლოესი მომავლის პროგრამა...

უახლოეს ორ ათეულ წელიწადში წამოიმართება ახალ-ახალი ქალაქი. მწყობრში ჩადგება ათასობით ქარხანა, ფაბრიკა და ელექტროსადგური. ჩვენი მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები და მუშები შექმნიან მაღალწარმადობის მანქანებს, აეტომატებს, რომლებიც გარდაქმნიან შრომას.

უკანასკნელ ექვს წელიწადში საბჭოთა ქვეყნის სამრეწველო პროდუქცია ოთხმოც პროცენტამდე გაიზარდა. მარტო ნავთის მოპო�sp 95 მილიონ ტონით გადიდდა. ეს თვალსაზრისე რომ წარმოვიდგინოთ, იგი ხუთი ახალი ბაკოს შექმნას უდრის. ელექტროენერგიის გამომუშავება 157 მილიარდი კილოვატსაათით გაიზარდა, ე. ი. თითქოსდა მოგვემატა 50 ისეთი ელექტროსადგური, როგორიც დნეპროჰესია.

უკანასკნელ წლებში ათასეულობენა 48 მილიონს მეტკაცრნ მეტი უყარი მიწა.

მომავალ ორ ათეულ წელიწადში საბჭოთა კავშირში შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩვენს ქვეყანას გაცილებით უკეთესი ეკონომიური მაჩვენებლები ექნება, ვიდრე ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს: დავიკავებთ პირველ ადგილს თვითეული ადამიანისათვის გამომუშავებული პროდუქტების სიუხვით; მიღწეული იქნება ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე; სოფლისა და ქალაქს შორის თანდათან მოისპობა არსებითი განსხვავება; ასევე მოისპობა განსხვავება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის.

1970 წლისათვის მუშებისა და მოსამსახურეების რეალური შემოსავალი თვითეულ ადამიანზე ორჯერ გაიზრდება, ხოლო 1980 წლისათვის—სამჯერ. კოლმეურნე გლეხობის შემოსავალი 70 წლისათვის გაიზრდება ორჯერ, ხოლო მომდევნო ათი წლის შემდეგ—ოთხჯერ. შემოსავლის ზრდასთან ერთად უნდა მიგადწიოთ მოთხოვნილების საერთო დონის გადიდებას. შშრომელები უზრუნველყოფილი იქნებიან უმაღლესი ხარისხის პროდუქტებით, ფართო მოხმარების საგნებით. მნიშვნელოვნად გაიზრდება აეტომანქანების გამოშვება. 1980 წლისათვის იმდენად გადიდდება მატერიალური დოვლათი, რომ ახსოლუტური რეალობა იქნება მისი განაწილება ადამიანთა მოთხოვნილებების მიხედვით.

მთელს კავშირში ფართოდაა გაშლილი სახიანო შშენებლობა. მისი ტემპების კიდევ უფრო გაზრდა 1980 წლისათვის უზრუნველყოფს ყველა ოჯახს კომფორტაბელური ბინით. ძველი გლეხური სახლები შეიცვლება ახალი, თანამედროვე მოთხოვნილებების შესაფერისი შენობებით. ოთხმოციანი წლებისათვის სახიანო და კომუნალური სამსახური თანდათან უფასო გახდება. უფასო იქნება ბავშვების მომსახურება სახავშვო დაწესებულებებში. 1980 წლამდე უნდა განხორციელდეს ყველა შრომისუუნარო მოქალაქის სახელმწიფო კმაყოფაზე გადაყვანა.

საოცრად შეუმსუბუქდება ქალს შრომა ოჯახში. ყველა პირობა იქნება ამისათვის, რომ მეოჯახე ქალი ფართოდ იქნეს ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიასახლისის შრომის შესამსუბუქებლად გამოშვებული იქნება სხვადასხვა ტიპის ელექტრომანქანები, ფართოდ გაიშლება საზოგადოებრივი კვების ქსელი.

1970 წლისთვის საბჭოთა კავშირში იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე—6-საათიანი სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე — 35-საათიანი სამუშაო კვირა. ამასთან ერთად, გადადდება ყოველწლიური შვებულების ანაზღაურება. სრულიად უზრუნველყოფილი იქნება შშრომელთა სამედიცინო მომსახურება.

ამგვარად ჩვენს ქვეყანაში ორი მილიონ ექვსასი ათასი ქალაშვილი და ბაბუა სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში. უახლოეს ოც წელიწადში სტუდენტთა ოჯახი 8 მილიონამდე გაიზრდება. მნიშვნელოვნად გადიდდება მეცნიერ-მუშაკთა და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რიცხვი.

ერთიორად ეტყი კინოთეატრი, თეატრი, კულტურის სახლი, სპორტსაველი და სპორტული ნაგებობა მოემსახურება ხაბჭოთა ადამიანს.

გრანდიოზულია ჩვენი დიდი საშობლოს შშრომელთა წინაშე დასმული ამოცანები. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტურ-საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბება — ისეთია უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის წინაშე დგას საშინაო პოლიტიკის დარგში კომუნიზმის გაშლილი შშენებლობის პერიოდში.

შეიდწლიანი გეგმის შესრულება საბჭოთა კავშირის ეკონომიკას გაიყვანს ისეთ ზღუდეზე, რაც ცოტა დროდ იქნება საჭირო იმისათვის, რომ გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის სიუხვის მხრივაც. ეს იქნება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება კაპიტალიზმზე. ამიტომაც პარტიის ოცდამეორე ყრილობამ დასახა კონკრეტული ამოცანა: უზრუნველყეოთ შვიდწლიანი გეგმის დაჯილდათა მოლიანად და გადაჭარბებით შესრულება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, კაპიტალიზმთან შშვიდობიანი ეკონომიურ შეჯიბრებაში ჩვენი გამარჯვებისათვის.

უდიდესი სიხარულითა და სიამაყით ივსება ყოველი ჩვენგანი, როცა ისმენს პარტიის საქვეყნო განცხადებას: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს.





8831

ხაქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ჩვენი დედაქალაქი ახალმშენებლობათა ხარაზოებშია ჩამჯდარი. ყოველწლიურად სულ უფრო მეტ და მეტ საცხოვრებელ ფართობს იღებენ მშრომელები, სულ უფრო მეტად იხვეწება საცხოვრებელ სახლთა არქიტექტურა, საცხოვრებელი რაიონებისა და კვარტალების განაშენიანება და დაპროექტება.

საცხოვრებელი მშენებლობიდან განზრახ ვიწყებთ საუბარს, რადგან ჩვენი მშენებლობისა და არქიტექტურის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს დღისათვის სწორედ საცხოვრებელი რაიონების, კვარტალების, სახლების ფართოდ გაშლილი მშენებლობა წარმოადგენს. ეს ეხება ყველა ქალაქს, მათ შორის თბილისსაც.

სულ რამდენიმე წლის მანძილზე თბილისში შეიქმნა ქალაქის ახალი უბნები — საბურთალოზე, დიღომში, 26 კომისრის რაიონში. აქ გაშენებულმა საცხოვრებელმა მასივებმა, რომლებმაც უკაცრიელი ტერიტორია დაიკავეს, სრულიად ახლებური იერი მისცეს ამ რაიონებს.

მშენებლობის დიდ მასშტაბთან ერთად მნიშვნელოვანია ისიც, რომ არქიტექტურულ ობიექტთა მხატვრული სახე თანდათანობით სულ უფრო მეტად უპასუხებს დღევანდელი დღის ესთეტიკურ მოთხოვნილებას. არქიტექტურა ხომ ის გარემოა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და რომელთანაც უწყვეტი კონტაქტი აქვს. სწორედ ამიტომ, არქიტექტურულ შემოქმედებაში მთავარია ადამიანზე ზრუნვა. და ეს მთავარი წითელ ხაზად გასდევს ჩვენს არქიტექტორთა მოღვაწეობას. ეს მთავარი იგრძნობა ყველა იმ ახალ პროექტში, რომელიც ჩვენი დედაქალაქის ხვალინდელ დღეს გვიჩვენებს.

საბურთალოზე, ე. წ. I კვარტალში, რომელიც 4-5-სართულიანი სახლებითაა გაშენებული, ამჟამად წარმოებს ვაჟა-ფშაველას პროსპექტის წინა ხაზის მოშენება, რომელიც 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლების აგებას გულისხმობს. ეს სახლები (არქიტექტორი შ. ყაველაშვილი), რომელთა ფასადები ლოჯიების ბადით არის დფარული, ორი ტიპისაა: 65 და 130-ბინიანი. ისინი ვარირების შესაძლებლობას იძლევა. ერთმანეთთან მიდგმის, სიმაღლის ცვლებადობით და სხვა საშუალებებით ქუჩის გაშენიანებაში შეტანილი იქნა ნაირფეროვნება. ამ კვარტალში ძირითად მხატვრულ აქცენტს შექმნის 16-სართულიანი კოშკური ტიპის საცხოვრებელი სახლი.

ამ სახლების გარდა, პროსპექტისათვის დამუშავებულია გალერიის ტიპის 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლები (არქიტექტორები შ. ყაველაშვილი და ვ. ქურთიშვილი). გალერიის ტიპს ის უპირატესობა აქვს, რომ იგი მნიშვნელოვნად ეკონომიურია. აქ ერთი ღია კიბის უჯრედი ექვს ბინას ემსახურება, ამ სახლების მთავარ ფასადთა სიბრტყე ლოჯიებით არის შევსებული, რაც დიდად სასურველია სამხრეთის პირობებში. ფერის თამამი შეტანა, როცა ლოჯიის საფასადო სიბრტყე ერთი ტონითაა დაფარული, ხოლო გვერდისა სხვა ფერით, პერსპექტივში აღქმისას მომხიბლველობას მიცემს ფასადს და ქუჩის მიმართულებაშიც თავისებურ ფერადოვან რიტმს შეიტანს.

ქალაქთამშენებლობითი თვალსაზრისით საინტერესოა მტკვრის სანაპიროს მარცხენა ნაპირის რეკონსტრუქცია. მარჯანის ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე (აგბერრი ი. ჭიჩაკიძე, ი. სლოვინსკი, ა. ჩიკვაიძე). ეს მონაკვეთი ნეთაგუროვის ქუჩის გენერალურ რეკონსტრუქციას გულისხმობს. იგი ახალ სანაპიროსთან ერთად გადაიქცევა ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგისტრალად. ეს სამეგობრები ქალაქის ამ ძველ, ამორტიზებულ უბნებს, თანამედროვე საცხოვრებელ რაიონებად აქცევს.

ამ პროსპექტზე ეტაპურად, კომპლექსურად მეტად საინტერესო იდეას იძლევიან. ჯერ ველ ალანზე მარჯანის ხიდთან სამი კოშკური სახლია, რომლის ფონად 8-სართულიანი სახლებია შეტანილი. თავი სახლების განლაგება კარგად ეფარდება არსებულ რელიეფს, ტერიტორიის დონეთა სხვაობას.

ქალაქს ბარათაშვილის ხიდის ნაცვლად ახალი ხიდი შეემატება. იგი მეტად საინტერესოდ არის გადაწყვეტილი (არქიტექტორები შ. ყაველაშვილი და ვ. ქურთიშვილი). ხიდი ორ იარუსიანია და ტრანსპორტის მოძრაობა გამოყოფილია ფეხით მოსიარულეთგან, რომელთაც ქვედა იარუსი ეთმობათ, მოძრაობის გრაფიკი ჯერ პანდუსებითთ და მიწისქვეშა გადასასვლელებით. ხოლო შემდეგ თვით ხიდზე ისე არის შედგენილი, რომ მაქსიმალურადაა იზოლირებული ნაკადთა მოძრაობა და უზრუნველყოფილია ყველა მხარეს გადასვლა.

რკინის ბეტონის ანაკრები კონსტრუქციისაგან შედგენილი ხიდის არქიტექტურა მკაცრია, მაგრამ მეტყველი. მოპირკეთებაში უპირატესი ფოლადის შეტანა, ქვედა იარუსის გადასასვლელი ნაწილის კედლების სხვადასხვაგვარად დაფერვა მნიშვნელოვან მხატვრულ აქცენტს შეიტანს თბილისის ამ ერთ-ერთ ულამაზეს მონაკვეთში.

თბილისს სულ ახლო ხანში ორი ახალი სასტუმრო შეემატება. საბურთალოზე. ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე შენდება 460-ადგილიანი სასტუმრო (არქიტექტორი თ. შუბლაძე), რომელსაც საფუძვლად ტიპიური, მაგრამ ახლებურად წარმოდგენილი პროექტი უდევს. მთელ ფრონტზე ლოჯიების მიდგმით შენობა ადგილობრივ პირობებს ეფარდება.

270 ადგილს დაითვლის 7-სართულიანი სასტუმრო, რომელიც საგზურის ოფისსაზე შენდება (არქიტექტორები თ. თევზაძე და ნ. ჯობაძე). სასტუმრო კოლმეურნეებისთვისაა გამიზნული. ამ სასტუმროს გეგმა მარტივად არის გადაწყვეტილი. გარდა მოცერხებული ნომრებისა, შენობაში იქნება რესტორანი და ყველა ის დამხმარე სადგომი, რაც სასტუმროს ესაჭიროება.




## გერმანელი მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანის რუქის შესახებ

1726 წელს ჰამბურგის (გერმანია) გეოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა, ცნობილმა გეოგრაფმა და კარტოგრაფმა იოჰან მიუნერმა გამოსცა იმდროინდელი მსოფლიოს სფეროსანი გეოგრაფიული რუკების ვრცელი ალწერა. მიუნერი გეოგრაფიული რუკების კოლექციონერი იყო, თავისივე სახსრებით შეძენილი რუკებისათვის გეოგრაფიული მუზეუმი დაარსა და მოიგონა რუკების კლასიფიკაცია და ალწერა. რუკათა შორის მიუნერემ ალწერა და მაღალი შეფასება მისცა კავკასიის რუკის იმ ნაწილს, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის მიერაა შედგენილი.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI დავალებით სულხან-საბა ორბელიანმა დიპლომატიური მიზნით იმოგზაურა ევროპაში. მან საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV წარუდგინა მის

# ხვალინდელი პუბლიკა

„საკმშენსახპროექტის“ დირექტორი ა. საბაშვილი, ტიპიური პროექტების განყოფილების უფროსი ს. რევიშვილი და არქიტექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი გ. ხიზანიშვილი.

**ნოდარ ჯანბერიძე**

ჭიროება. გარდა ჩვეულებრივი შემნახველი საკანებისა, აქ არის სპეციალური სათავსო სანოვაგისათვის, რაც ჩამოსულ კოლმეურნეებს ხელს შეუწყობს ბაზრობისათვის განკუთვნილი პროდუქტების შენახვაში.

შენობის არქიტექტურაში ავტორები თამამად იყენებენ ფერს. ინტერიერში თუ ექსტერიერში ფერი ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია. ყურადღებას იპყრობს დარბაზთა მხატვრული დამუშავება, სადაც გარდა დეკორატიული მხატვრობისა, გამოყენებულია გრანდიოზული ფოტო მთელ კედელზე, კერამიკული დეტალები და სხვ.

სასტუმროს ფასადი სადგურის მოედანზე ყრუკედლის სიბრტყეთ გამოდის. ეკლარის ქვით მოპირკეთებულ კედელზე, რომელზედაც თემატური ბარელიეფები და წარწერაა მოთავსებული, მთავარ აქცენტს მასალითა და ფერით გამოყოფილი შესასვლელის პორტალი წარმოადგენს. ავტორებს კარგად მოუძებნიათ გადასვლა უკვე არსებულ მეზობელ შენობაზე, რაც ფერადოვანი ლოჯიებით ხორციელდება. გვერდის ფასადი, რომელიც აბასთუმნის ქუჩაზე გამოდის, მთლიანად ხერხისებურად განლაგებულ ლოჯიათა ფრონტს ქმნის. ლოჯიების ამგვარი განლაგება, მზისსაცავების მოწყობა და სხვადასხვა ფერადოვანი ლაქების შექმნა ცხოველხატულებას შემატებს ქუჩის მთელ მონაკვეთს.

თბილისისათვის თემატურად სრულიად ახალია მოტო-ოტელი, რომელიც დიღომში ქალაქის შემოსასვლელ თანშენდება (არქიტექტორები ი. ქორაკიძე, ი. სლავინსკი, ჩიკვაიძე). ამ ახლებური ტიპის სასტუმროს კომპლექსში, გარდა ნომრებისა, რომლებიც 153 ადგილზეა გათვალისწინებული, შედის რესტორანი, სადგომები 60 ავტომანქანისათვის, პროფილაქტიკისა თვის და სხვ. გეგმის სადა გადაწყვეტისას, როცა მისი ყველა რგოლი რაციონალურად შედგენილ ერთიან ორგანიზმს ქმნის, მომხიბვლელად გამოიყურება ბუნებაში კარგად ჩაწერილი შენობის საერთო არქიტექტურა ფერადოვანი ლოჯიების მტკრით, ქვედა სართულის სივრცობლივი გასასვლელითა და რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციით შედგენილი ვიტრაჟით. ერთი შეხედვით მარტივ არქიტექტურას თან სდევს გამიზნული მხატვრული მომენტი, რაც წმინდა არქიტექტურული საშუალებითა თუ დეკორატიული მოტივებით (წყლის სარკე, მწვანე ნარგავები და სხვ.) იქნება გამოხატული.

დიღომშივე აშენდება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი, რომელიც ქალაქის ამ ახალი მნიშვნელოვანი მასივის ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტურული ელემენტი იქნება (არქიტექტორები ლ. მესხიშვილი და გ. გაბაშვილი). ეს კომპლექსი შედგება სასწავლო კორპუსის, სააქტო დარბაზისა და სპორტული ბირთვის მკაფიოდ გამოყოფილი ნაწილებისაგან. მიუხედავად ამ დიფერენციაციისა, გეგმა ერთიანან, შეკრულ ორგანიზმადაა წარმოდგენილი. სასწავლო კორპუსი 2500 სტუდენტისათვისაა გათვალისწინებული. მას ერთ მხარეს 800-ადგილიანი სააქტო დარბაზი ერტყმის, მეორეე შედგენილი და დახახული რუკა. უფრო გვიან, ფრანგმა გეოგრაფმა გილომ დე-ლილმა 1728 წლის 15 აგვისტოს გამოსცა კავკასიის რუკა, სადაც საქართველოს ტერიტორია ს. ს. ორბელიანის რუკის მიხედვითაა მოცემული. ამას ადასტურებს თვით რუკაზე მოხსენიებული ს. ს. ორბელიანის გვარიც („ქართველი თავადი სოფაკ საბა“). უნდა ვიგულისხმოთ, რომ ი. ჰიუბნერმა დე-ლილის რუკა პარიზიდან მიიღო, მან კარგად იცოდა ს. ს. ორბელიანის როლი 1723 წლის რუკის შედგენაში, ამიტომაა, რომ თავის წიგნში იგი შემდეგნაირად აფასებს ქართველი კარტოგრაფის დამსახურებას:

„კახპის ზღვის მეზობლად მდებარე ქვეყნების გეოგრაფიული რუკა. დახაზულია „ლ“-ს მიერ, გრავირებულია ჰოლანდიაში „ კ“-ს და „მ“-ს მიერ.

სრულიად ახალი და საუცხოო რუკა, პირველად არის მასზე მოცემული ზღვა იმ სახით, რა სახითაც გაეგზავნა მეცნიერებათა აკადემიას პარიზში და ლილენმა შეასწორა.

მაგრამ მასზე უმთავრესად წარმოდგენილია ის პროვინციები, რომლებიც კახპის ზღვასა და პონტის ზღვას შორის მდებარეობენ და რომელთა შესახებ აქამდე ნაკლებ სანდო ცნობები გაგვაჩნია.

ყველაზე უფრო გულმოდგინედ დამუშავებულია გეორგიის (ე. ი. საქართველოს) ცნობილი პროვინცია, რისთვისაც გამოუენებულია გარკვეული წერილობითი მემუარები, რომელიც დაამზადებინა სოსრამ საბამ, საქართველოს პრინცმა.

ამ რუკაზე არის ბევრი დასახლებული პუნქტი, თუმცა ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ არის მოცემული. ყოველ შემთხვევაში, ახლაც იმდენად სრულყოფილია, რომ შეუძლია ყველა სხვა მასალა შეცვალოს“.

ჰიუბნერის მიერ მოხსენებული „ლ“ და ლილენი არის ცნობილი ფრანგი მეცნიერი გილომ დე-ლილი. „კ“ და „მ“ არის ინიციალები საუკეთესო ჰოლანდიელი ოსტატი — გრავიორების კოვენსისა და მორტიესი, რომლებმაც მოახდინეს 1723 წლის რუკის გრავირება და ამით შეავსეს იოჰან ჰიუბნერის გეოგრაფიული მუზეუმის რუკების კოლექცია.

სულხან-საბა ორბელიანი პარიზში ჩავიდა 1713 წელს, კავკასიის რუკა გამოიცა 1723 წელს, მისი გრავირება მოხდა 1725 წელს, ხოლო ი. ჰიუბნერის კატალოგში მოხვდა 1726 წელს.

ჩვენთვის მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, რომ ი. ჰიუბნერს 236 წლის წინათ რუკების აღწერილობაში ასეთი მაღალი შეფასება მიუცია ჩვენი თანამემამულის, სახელოვანი მეცნიერის, გეოგრაფ-კარტოგრაფის მემუარებისა და საქართველოს რუკისათვის. ჰიუბნერის გამოთქმა „საქართველოს ცნობილი პროვინცია“ უნდა გავიგოთ ისე, რომ მისთვის (ისე როგორც ევროპის სხვა მეცნიერებისათვის) საქართველო საკმაოდ ცნობილი ქვეყანა ყოფილა თავისი ისტორიითა და მეცნიერულ-კულტურული მემკვიდრეობით.

გერმანელი მეცნიერის მიერ კარტოგრაფიაში სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის ასეთი საუკეთესო შეფასება მოწმობს ძველი ქართული გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარების მაღალ დონეს.

**მრ. ზარდალიშვილი**



17

ქალაქის მთავარი არქიტექტორი ი. ჩხენკელი (მარჯვნივ) და ე. ხარაშვილი განიხილავენ ქალაქის მიკრორაიონის დასახლებას.

ხოლო მეორე მხარეს სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი და სტადიონი. გეგმაში ეს ნაწილები ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს. მთავარი ვესტიბიული, რომელიც ორსართულიანია და მინის კედლის სიბრტყეებით ნათდება, გამაერთიანებელი ბირთვს წარმოადგენს სააქტო და სასწავლო კორპუსებისათვის. სასწავლო კორპუსის მოცულობა მთავრისაკენ ვერტიკალურად მიმართული სამი ნაწილისაგან შედგება. კომპლექსის საერთო არქიტექტურა, მისი მკაცრი სისადავე ერთ მთლიანში აერთიანებს სააქტო დარბაზს, ძირითადი კორპუსისა და სასპორტო ბირთვის სხვადასხვა მოცულობებს. შიდა ეზოები, კურდღლერება დამუშავებულია დეკორატიული ელემენტებით, წყლის პანტერებით, მწვანე ნარგავებით, რაც საერთო არქიტექტურის განუყოფელ ნაწილებს ქმნის. ფასადზე მახვილს სვამს ფერი, ქანდაკებისა და დეკორატიული წარწერის ლაკონურად ხმარება.

ვაკის პარკთან აშენდება „ქალაქმშენსახპროექტის“ ადმინისტრაციული, კოშკური ტიპის სახლი, (არქიტექტორები ა. სხბაშვილი, ს. რევაზიშვილი, ო. ბაგრატიონი, დ. ზოფიკაშვილი, გ. ხიზანიშვილი) რომლის ქვედა 3-4 სართული ავტომაჭანების გარაჟისთვისაა განკუთვნილი. შენობის არქიტექტურა ისეა გადაწყვეტილი, რომ რელიეფის ფონეთა სხვადა მაქსიმალურად გამოყენებულია და შემდგენელ ნაწილებს (გარაჟი, კვლევითი ინსტიტუტი, ადმინისტრაციული ნაწილი) მეტად ნელად სვამს საერთო მოცულობაში.

ჩვენ მხოლოდ ნაწილი აღვნიშნეთ იმ დიდი სამუშაოსი, რომელსაც არქიტექტორები ატარებენ დედაქალაქის შემდგომი განაშენიანებისათვის. მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია მშენებლობის მასშტაბის წარმოსადგენად. ერთი რამაა ნიშანდობლივი: მიუხედავად თემატური განსხვავებისა, ყველა ობიექტს ახლოვებს ახალი მიდგომა, არქიტექტურის სპეციფიკისა და არსის ახლებური გახსნა.

ახლა, როცა ძველი მასალები და არქიტექტურული ფორმები იცვლება, ბუნებრივია, მშენებელთა წინ ახალი შესაძლებლობები და ამო-

---

# დ. მ. ლენგის ფენიფვ

«პეტრე იბერის ცხოვრებისა»

**შალვა ნუსუბიძე,**
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ამას წინათ ლონდონში გამოვიდა ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხისადმი მიძღვნილი წიგნი სათაურით „ცხოვრებანი და ლეგენდები ქართველ წმინდანთა შესახებ“, შერჩეული და ქართულ დედნებიდან ინგლისურად გადათარგმნილი ჩვენში საკმაოდ ცნობილი მკვლევარის დავით ლენგის მიერ. ამ წიგნში, სხვათა შორის, მოთავსებულია მეხუთე საუკუნის ქართველი მოღვაწის და მოაზროვნის, მიიუმელი მღვდელმთავრის პეტრე იბერის ცხოვრების აღწერილობაც.

ავტორის მიერ შერჩეული მასალა უდავო სარგებლობას მოუტანს ქართული კულტურის ამ დიდი წარმომადგენლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეს, კიდეც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა იგი ქართული კულტურის ისეთი დიდი მოვლენის, როგორიცაა პეტრე იბერი, უცხოეთში გაცნობას, მის გამოცემაში რომ ზოგიერთ გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი.

ავტორი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეოხებით „ამოვდგართ ქართული ეკლესიის ადგილმარჩენი ტრადიციებიდან ბიზანტიის რელიგიური და პოლიტიკური საქმიანობის უფრო ფართო საობიექტად.“ (გვ. 57). ავტორი მართალია, როცა ქართული საეკლესიო ტრადიციიდან ამოდის და მას ბიზანტიის ასეთივე სამოღვაწეო სარბიელს ადარებს, მაგრამ თუ ეს მხოლოდ მონოფიზიტ-დიოფიზიტობას ეხება, ეს ვერ შეეწინააღ იმ განსხვავებას, რომელსაც ავტორი გულისხმობს. უწინარეს ყოვლისა, სწორი არაა ის დებულება, თითქოს პეტრე იბერი მონოფიზიტური, ანუ ქალკედონიელთა ბანაკის მებრძოლი („ჩემპიონი“) იყო (იქვე).

პეტრე იბერის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მეხუთე საუკუნის დოგმატიკურ ბრძოლაში იგი გადაჭრით არც ერთ მებრძოლ პარტიას არ ემხრობოდა. ეს, უეჭველ საბუთებზე დამყარებით, დადგენილი აქვს აკადემიკოს ნ. მარს (იხ. „ცხოვრება პეტრე იბერისა“, ნ. მარის წინასიტყვაობა, რუს. გამოც. **СПБ 1896** წ.). მთავარი საბუთი, რომელსაც ნ. მარიც არ იცნობდა, იყო მოძღვრება „თეოზოლის“ შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მონოფიზიტობას.

ჩვენს ავტორს რომ ეს გარემოებანი გაეთვალისწინებინა, ის მართლაც მივიდოდა ქართული კულტურის სარბიელის გაფართოების ფაქტამდე, მაგრამ იმ მნიშვნელობით, რომ პეტრე იბერის ნააზრევის სახით ძველი ქართული კულტურა მართლაც გამოვიდა არსებული ჩარჩოებიდან არა მარტო ბიზანტიის, არამედ მთელი დასავლეთის აზროვნების ფარგლებამდე.

პატივცემულ ავტორს სურს კარგი საქმე გააკეთოს, აჩვენოს, თუ როგორ ამოვიდა ქართული აზროვნება ძველი, V საუკუნემდე არსებული ჩარჩოებიდან და გაუსწორდა ბიზანტიის კულტურის სარბიელს, მაგრამ ამავე დროს იგი არ ლაპარაკობს იმაზე, თუ რაში გამოიხატა პეტრე იბერის საქმიანობასთან დაკავშირებით ქართული კულტურის ეს გასვლა ბიზანტიის ფართო სარბიელზე.

თუ ავტორს მხედველობაში აქვს პეტრე იბერის მხოლოდ საეკლესიო საქმიანობა, რამდენადაც მეხუთე საუკუნე ორი ქრისტოლოგიური ბანაკის ბრძოლით ხასიათდება, მისი მონოფიზიტია ფალავანის სახით წარმოდგენა არ ნიშნავს ქართული კულტურის ნამდვილად არსებულ წარმატებას. თუ პეტრე მართლაც იყო მონოფიზიტთა ჩემპიონი, მაშინ ამ მსჯელობას ლოღიკა არ აკლია. ასე ფიქრობდნენ ზოგიერთები, მაგრამ დღეს მეცნიერებაში ამაზე ლაპარაკი გაუმართლებელია, როგორც თეორიული, ისე ფაქტიური თვალსაზრისით. სინამდვილეში, როგორც ამას ისტორია გვიჩვენებს, პეტრე სრულიად გაუდგრილად შეხვდა ქალკედონის გადაწყვეტილებას (451 წ.), რაც მონოფიზიტების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

ამასთან დაკავშირებით, პეტრე იბერის შეფასება აღმოსავლეთის ეკლესიებისა და, კერძოდ, სოფრომ იერუსალიმელის მიერ, რეალურ და დღემდე გადაუჭრელი საკითხია და მისი ნაჩქარევად გადაწყვეტა, როგორც ამას პატივცემული ავტორი ჩადის, არ შეიძლება მეცნიერულ საქმედ ჩაითვალოს. მკვლევარს უნდა სცოდნოდა, რომ რელიგიური ფანატიზმით გაბორკილებულ სოფრომს არ ეესმოდა, რომ პეტრე იბერი იგივე ფსევდო-დიონისე იყო, და სავალალო მდგომარეობაში ვარდებოდა, როცა პირველის მიწასთან ასწორებდა, ხოლო მეორეს „ზეცით მოგზავნილად“ სთვლიდა.

მეცნიერებამ იცის, რომ ეს საკითხი ღია საკითხად იყო დარჩენილი საუკუნეთა განმავლობაში და იგი პეტრე იბერის და დიონისე არეოპაგელის საიდუმლოების ამოცნობის უცდიდა. ახლა ყველასათვის ცნობილია, რომ ვითომდაც ჰაგელ მოცემულის მოწაფეზე — დიონისეზე ლაპარაკი დღეს რეაქციონერობა და უეციობაა მეცნიერებაში. (იხ. ე. ბონიგმანი, „პეტრე იბერი და სხვა“, რუს. თარგმანი თბ. 1955 წ. გვ. 89).

დ. ლენგი თითქოს იცნობს ე. ბონიგმანის დასახელებულ წიგნს, იხსენიებს მას და მოპაჯეს „მისი ძირითადი დებულება პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისეს შესახებ. იგი წერს:

„პროფესორი ერნესტ ბონიგმანი, მიზნად ისახავს დაამტკიცოს პეტრე იბერის იგივეობა ჰაგელ მოცემულის მოწაფე დიონისე არეოპაგელთან, მნიშვნელოვანი მისტიკური ნაწარმოებების ვითომდაც ავტორთან. ამ თეორიამ მნიშვნელოვანი დისკუსია გამოიწვია უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაგრამ საერთო აღიარება ვერ ჰპოვა (დ. ლენგი „ლას ნოტ ფაუნდ ჯენერალ ეკსეპტენს“, გვ. 58).

ამ ცოტა ადამიანი აშკარაა, რომ დ. ლენგს ე. ბონიგმანის დასახელებული წიგნი ზელში ჰჭონია. მაგრამ ის მარტოოდენ ბონიგმანის თეორიაზე ლაპარაკობს. თვითონ ე. ბონიგმანი კი ამ საკითხზე შემდეგს წერს: „ქართველმა მეცნიერმა შ. ი. ნუცუბიძემ უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე წელით ადრე (ალიუზიერ ანე ავან მუა) იგივე მოსაზრება“, და განაგრძობს „აშკარაა, რომ სხვადასხვა დაკვირვებებმა მიგვიყვანა ჩვენ ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად ერთი და იმავე დასკვნამდე“ (ციტ. ნაშრომის ფრანგული ტექსტიდან, გვ. 26-27).

რას უნდა ნიშნავდეს ეს? პატივცემულ ავტორს ე. ბონიგმანის წიგნში წაკითხული აქვს მოყვანილი ადგილი და ისიც იცის, რომ ბონიგმანმა ათი წლის შემდეგ დაადასტურა ჩემი დასკვნები პეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისეს იგივეობის შესახებ (იქვე).

მე ამ გარემოებაზე არ შევჩერებდი მკითხველის ყურადღებას, მაგრამ ეს არის მეთოდი კრიტიკისა, რომელიც თვალის დახუჭვასა და არდანახვაში გამოიხატება, ასეთი „კრიტიკა“ მხილებული უნდა იქნას.

ფსევდო-დიონისეს პეტრე იბერთან იდენტიფიკაციის საკითხში ბონიგმანის კრიტიკის საფარ ქვეშ ჩემს წინააღმდეგ კამათის ხერხი საქართველოშია

ცანები ისახება. ავიღოთ მინა, რომელმაც ბოლო დროს ასე დიდი გამოყენება მოიპოვა. მინამ გაფფართოვა არა მარტო სამშენებლო შესაძლებლობანი, კორექტივი შეიტანა თვით არქიტექტურის ბუნებაშიც, გააფართოვა სივრცის გაგება, როცა შენობის გარეგ მყოფ თვალს ინტერიერი გადაუშალა. ეს მარტო სიღრმით მიღწეული ეფექტი როდია. ეს გარე და შიდა არქიტექტურის ორგანული კავშირის ახალი გამოხატულებაა, სიახლე, რომელიც ახალ ფორმებს, გამოსახვის ახალ საშუალებს თხოულობს.

თანამედროვე არქიტექტურაში დიდ როლს თამაშობს ფერი.

დღეს სამშენებლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ იგრძნობა მოსაწყენი ერთფეროვნება (მოვიგონდეთ საბურთალოს განაშენიანება!), რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას დაბრალდეს. სტანდარტიზაცია როდი ნიშნავს მონოტონურობას. ფერის გამოყენება თანამედროვე მშენებლობაში დიდია. ფასადთა გაფორმებაში ფერი არა მარტო ნაირფეროვნებას შეიტანს, არამედ საერთოდ „გააცოცხლებს", მეტ მომხიბვლელობას და სიხალისეს შემატებს საცხოვრებელ კვარტლებს, რაც სრულიადაც არ არის მეორეხარისხოვანი. ერთფეროვნების თავიდან აცილებისათვის კარგი საშუალებაა ბუნებრივი ფონის—მწვანე ნარგავთა რაციონალურად, მხატვრულად გამოყენება. მცირე სკვერები, ზოგან კი მაღალი ნარგავები, მათი სხვადასხვაგვარი განლაგება, ინდივიდუალობას მიანიჭებს ამა თუ იმ უბანს, რაიონს, კვარტალს.

ახალი კონსტრუქციები და მასალები, არქიტექტურული გამოსახვის ახალი საშუალებანი თანდათანობით მტკიცედ ინერგება ჩვენს არქიტექტურულ პრაქტიკაში. ზემოთ განხილული პროექტებიც ამის დადასტურებაა.

ეს პროექტები საინტერესო მომავალს ჰპირდება ჩვენს ძველისძველ თბილისს-ქალაქს. გაიცლის სულ ცოტა დრო და მშენებელთა მარჯვენა რეალობად აქცევს ჯერ მხოლოდ პროექტზე გამოსახულ არქიტექტურულ იდეებს.

## პოეტი გასცქერის მთაწმინდას

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ახლახან დაიდგა დიდი რუსი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გრიბოედოვის მონუმენტური ძეგლი. დაფიქრებული პოეტი მდუმარედ გასცქერის განახლებულ თბილისს, თვალწარმტაც მთაზე შეფენილ დიდებულ მთაწმინდას და მის შემოგარენს.

ძეგლი მრავალსართულიან შენობათა კომპლექსთან კარგადაა შერწყმული და შეხამებული. წინ გაშლილი მოედანი ლამაზად და მიმზიდველადაა შეჭრილი საერთო არქიტექტურულ ანსამბლში. ამიტომაც მთელი თავისი სიდიადით წარმოდგება საყვარელი ადამიანის ფიგურა სივრცეშრივ პერსპექტივაში.

ძეგლის ავტორი — მოქანდაკე მერაბ კონსტანტინეს ძე მერაბიშვილი — მხატვართა ოჯახიდანაა გამოსული. იგი რუული შემოქმედებითი გზით მიდის და მუდამ ახლის მაძიებელია. მის სახელოსნოში უამრავ ესკიზსა და პროექტს ნახავთ. მოქანდაკე გატაცებულია მშვიდობის თემით. „ძირს იარაღი!.." მშვიდობის ნამდვილი სადიდებელია.

ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლის პროექტზე მუშაობა ნიჭიერმა მოქანდაკემ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო. მისი ოცნება იყო შექმნა ამ დიდებულებოვანი მწერლისა და მოაზროვნის მონუმენტური სახე.

მერაბ მერაბიშვილის მიერ ბრინჯაოში აღებეჭდილი გრიბოედოვი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ძეგლი წარდგენილია ლენინურ პრემიაზე.

# ნეგისათვის

ინგლისურად გამოცემის გამო.

აღმოჩენილი. გამოჩენილმა ქართველმა მკვლევარმა, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ ეს მეთოდი გამოიყენა თავის ნაშრომში. ე. პონიგმანის შესახებ (უნივერსიტეტის შრომები, 57), მას მიაძაბ პროფ. ს. დანელიამ. ევროპიელი მეცნიერები კი ამ შემოხვევაში ამჯობინებენ „პონიგმან-ნუცუბიძის" თეორიაზე ლაპარაკს (მაგ. პორნუსის წიგნში „რეშერშ დიონისიე" —„დიონისიური ძიებანი"—პარიზი, 1961 წ.).

ეს იყო ნაწილი იმ „მნიშვნელოვანი დისკუსიისა უკანასკნელ წლებში", რომლის შესახებაც დ. ლენგი ლაპარაკობს. ეს დისკუსია დღესაც არ შეწყვეტილა და არც ისე ადვილად შეწყდება, რადგან მისი საგანი ეგრედ წოდებული „არეოპაგიტული" ნაწერების ნამდვილი ავტორი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში განმტკიცებული ნატუურობის ქვეშაა ჩაფლული და ამის ერთი დაკვრით ლიკვიდირება ძნელი საქმეა. საკმაო ხანია, რაც ამ ნატუურობის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს. ამ ბრძოლის დროს „წმინდა მეცნიერული" კამათის იქით იმალება ბრძოლა, რომლის წარმომადგენელთა შორის დღეს „ეზოტერების საზოგადოების" უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს.

მრავალ ხანს გაჰნია მითი მისი ქვეყნის საგანგებო მფარველის არსებობის შესახებ. ასეთი იყო მითი საქართველოს ვითომდაც ღვთისშობლის წილხვდომილ სამფარველოს შესახებ. ასეთივე იყო მითი დიონისე არეოპაგელის, როგორც საფრანგეთის და, ეერძოდ, პარიზის მფარველის შესახებ. ეს მითი გაჩენილია მეცხრე საუკუნეში ბიზანტიის კეისრის მიხეილის მიერ საფრანგეთის მეფის ლუიესთვის ვითომდაც დიონისეს ნაწერების საჩუქრად გაგზავნამ, რაც „სან-დენის" ე. ი. წმ. დიონისეს სავანეში იქნა დასვენებული იოანე სკოტ ერიუგენას მიერ, მათი ლათინურად გადათარგმნამდე (852 წ.).

ამ მოვლენებს ჩვენთვის დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს და საქართველოს წილმდგომელის სიმბოლო ისტორიის ქარტეხილზე დაიცრიცა და მოჩვენებასავით გაჰქრა. პარიზის მფარველის დიონისეს კულტება საბოლოოდ საბჭოთა მეცნიერებამ გაანიავა ნ. ა. სიდოროვას ნაშრომში **„Очерки по истории ранней городской культуры во Франции"** (მოსკოვი, 1953 წ.). ე. წ. არეოპაგიტულ წიგნებზე საბჭოთა მეცნიერი წერს: „დასახელებული წიგნები გაჩნდა სირიაში, როგორც ჩანს, ქალაქ ლაზას მიდამოებში, და დაიწერა მაიუმის მეხდელეთმოკვეთის პეტრე იბერის მიერ, რომელიც მეხუთე საუკუნის მიწურულში გარდაიცვალა" (ამასთან ავტორი ითნწმებს ჩემს 1942 წლის ნაშრომს, გვ. 841).

ამრიგად, დღესდღეობითაც პეტრე იბერის ნაწერებზე და მის საქმიანობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს და კიდევ დიდხანს იარსებებს. ამას განაპირობებს არა მარტო რელიგიურ-დოგმატიური პრობლემის საუკუნოებრივად განმტკიცებული შეგნებული ნატუურა. დღესაც არსებობს მებრძოლი ორგანიზაციები, რომელთაც საკითხი მეცნიერული განხილვის სფეროდან ვიწრო ჯგუფური ბრძოლის სფეროში გადაეკვეთ.

ამის შემდეგ ცხადია, გაუგებარია პატივცემული დ. ლენგის განცხადება, რომ მნიშვნელოვანი დისკუსია, რომელიც პეტრე იბერის ფსევდო-დიონისესთან გაიგივებამ გამოიწვია მთელ რიგ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, ვერ დაპოვრდა ამ იდეენტიფიკაციის „საერთო აღიარებით". განა ასეთი საგანგებოდ შექმნილი საიდუმლოების გახსნა, რომელიც ათასხუთასი წლის განმავლობაში იმდენად გაბმაცილდა, რომ დღეშაის მომხრეები ეაყენ და ისიც ისტორიულად ცნობილი მებრძოლი ფანატიკური ორგანიზაციების სახით შეიძლება „საერთოდ აღიარებულ იქნას"?

ვისაც პეტრე იბერის ცხოვრების ახალი თარგმანით ისეთი დიდი რეზონანსის მქონე ენაზე, როგორიცაა ინგლისური ენა, დასაფლეთისათვის ქართული კულტურის გაცნობა უნდოდა, მას „საერთო აღიარების" მოგთხოვნა კი არ უნდა წამოეყენებინა, არამედ უნდა ეცადა პეტრე იბერის საქმიანობის დამდასტურებელ ერთ-ორ საბუთზე მაინც მიეთითებინა. შესაძლებელია ეს ყველას არ დაარწმუნებდა. მაგრამ ქართული კულტურის ამ დიდი მოღვაწის ღვაწლით ეეშმარიტების მაძიებელ რამდენიმე ადამიანს მაინც დაიფიქრებდა.

თავისი ერუდიციით და მონაცემებით დ. მ. ლენგს ეს ადვილად შეეძლო გაეკეთებინა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში იგი ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს.



18

# ეკთაღ ეკთი

ა. ჯუსრამეილი

ფოტო
ე. პესოტეისა



«დგანი 400»



ეს მიურუებული გუგუნ-გრიალი დღის სინათლით გაჩირაღდნებულ მიწისქვეშა გასასვლელშივე მოგეგებმის. იგი თანდათან ძლიერდება, თანდათან ეუფლება მთელს შენს არსებას და შენთვის უჩვეულო, იქამდე შეუცნობელ · მღელვარებასა გგვრის. გასასვლელი მალე ილევა, კიბეს ახვალ და შენს წინ ერთბაშად გადაიშლება დიდებული და განსაცვიფრებელი სურათი.

ირგვლივ, სადაც კი თვალი მიგიწვდება, დგანან მანქანები, დგანან და გამაყრუებელი გრუხუნ-დგანდგანრით აღებენ ვეებერთელა ხახებს, ზათქითა და ზრიალით ისვრიან იქიდან გავარვარებული ფოლადის ზოდებს, მერე უზარმაზარი ფოლადისავე თითებით დიდხანს დაჭანეტენ მათ ალმა-დაღლა, ატარებენ ათასნაირ ღარში, ღუმელსა და მექანიზმში, სანამ გავარვარებული ფოლადის მორებს დიდი დიამეტრის მილებად არ გადააქცევენ.

პირში გახურებული ლითონის ბული და ტრუსის სუნი დგას, და ამ ბულში, შენს ზემოთ, რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე უზომოდ დასრიალებენ გიგანტური ხიდურა ამწეები, რომლებსაც ერთი ადგილიდან მეორეზე მსუბუქად გადაქანთ მრავალტონიანი ტვირთები, მზა მილები, წითლად მოლაპლაპე ფოლადის მორები.

კიდევ უფრო ზემოთ კი მინებიანი სახურავის უზარმაზარი თაღებიდან ოკროსფერ კონებად იფანტება თებერვლის მზის ღონეშიხდილი სხივები, რაც მთელს ამ ცეცხლისა და რკინის სამყაროს კიდევ უფრო უანტასტიკურ იერს ანიჭებს.

და თუ შენ ახალბედაც ხარ და ყოველივე ამას პირველად ხედავ, მაშინ, რა თქმა უნდა, ერთბაშად ვერაც კი დაიჯერებ, რომ ნამდვილად რუხთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში იმყოფები და რომ ყველა ეს მანქანა, მექანიზმი თუ აგრეგატი წარმოადგენს საგლინავ დანადგართა ერთ კომპლექსს — დგან „400"-ს, რომლის შესახებ აქამდე ამდენი რამ გაგიგია და წაგიკითხავს.

ეს მილსაგლინავი საამქრო ზომით ერთი დიდი ქარხნის ტოლია, სადაც ამ დგანს რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია და ახლიდან ურთულეს ოპერაციას ახრულებს. მასში გაერთიანებულია ზვიდი მალი, რომელთაგან თვითეული სიგრძით ნახევარ კილომეტრს აღემატება, იგი შედგება 12 ათასი ტონა სხვადასხვა მოწყობილობისაგან, ხოლო მის ტექნოლოგიურ ხაზზე, რომლის სიგრძე ერთ კილომეტრს უდრის, განლაგებულია 170 მექანიზმი და 2 ათასზე მეტი ელექტრული და პნევმატიკური ამძრავი.

ადრე ამ მანქანებისა და მექანიზმების მართვას ცალში 19 ოპერატორი უნდებოდა. მუშებს ხელით უნდებოდათ რამდენიმე ათეული ათასი მომქანცველი ოპერაციის შესრულება. მარტო ის რად ღირდა, რომ მვალცავი თვითეული მილის გაგლინვის წინ — ასეთი მილი კი წუთში რამდენიმე იგლინება — ორჯერ აკმევდა ხელით საგლინავ ღერძს 60-120-კილოგრამიან სამართულს და ორჯერვე ხელით ხსნიდა მას. და თუ წარმოიდგენ ამ ოთხუთ წუთიან სამართულების ცისმარე დღეს ხელში ტრიალს და ისიც გავარვარებული მილების გვერდით, ადვილად მიხვდები, რა ჯაფაც ადგათ მაშინ ადამიანებს.

და აი, წარმოების ინჟინერ-ტექნიკოსებს დაეხადათ დგან „400"-ის კომპლექსური ავტომატიზაციისაღმა, რომელიც დგანის ათვისებისა და საწარმოო სიმძლავრეების ზრდის პროცესში წარმოიშვა. მისმა ავტორებმა ახალგაზრდა ინჟინრებმა და წარმოების ორგანიზატორებმა ს. ზარაშენიძემ, ნ. გომელაურმა, გ. ეამიერაშვილმა, ს. მალიშევმა, დ. შალიგინმა, ა. წერეთელმა, გ. გეკორქიანმა, ნ. ანდრიუხინმა, ი. ეორდანიამ, ა. უბირიამ, კ. გრუშეცკიმ, ო. ბლიაძემ და დ. ხარაძემ ჯერ კიდევ შვიდოიდე წლის წინათ მოაკიდეს ამ საქმეს ხელი და ხანგრძლივი, დაძა-

მილების გადაზიდვა ხიდურა ამწეებით.

ბული მუშაობის შემდეგ წარმატებით დაგვირგვინეს იგი.

პირველ ეტაპზე ავტომატიზაცია განხორციელდა ტექნიკურად შედარებით ადვილად მისადგომ უბნებზე. პარალელურად მომდინარეობდა სამუშაოები შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. დამუშავდა და დაინერგა შემომგალნავი დგანების უბნის ავტომატური მართვის ოროგინალური სქემები, რომლებშიც გადამწოდების ნაცვლად გამოიყენებულია ფოტორელეები მაგნატური გამაძლიერებლებით, რაც ტექნიკურ სიახლედ ითვლება. ამასთან, ავტომატიზაციის პრაქტიკაში აქ პირველად გამოიყენეს კონტაქტური გადამწოდები, როგორც ლითონური ჯაგრისები, რომლებიც მილთან შეხებისას იმპულსს გადასცემენ ავტომატური მართვის აპარატების შემსრულებელ მექანიზმს. შემდეგ კი, პირველად საბჭოთა პრაქტიკაში, გამოიყენეს უფრო გაუმჯობესებული ე. წ. მოცულობით გადამწოდები ნახევრად-გამტარიან გამაძლიერებლებზე.

მაგრამ მაინც გადაუჭრელი რჩებოდა საკითხი ავტომატურ დგანზე ისეთი მექანიზმის მორგებისა, რომელსაც შეეძლებოდა სამართულის შეცვლა საგლინავ ღერძზე სამართულის ჩამოცმა-ჩამოხსნის ტექნიკურად უადვილად რთული პროცესის დროს.

ახლა შენ ცნობისმოყვარეობით შეხცქერი ამ მექანიზმს, გასაოცარი სიზუსტითა და სისწრაფით რომ არგებს და ხსნის საგლინავი ღერძიდან ოთხფუთიან სამართულებს, და შეიძლება ფიქრადაც არ მოგდის, რომ შენ აღფრთოვანებული შეჰყურებ ამ ნიჭიერ, ენერგიულ და საოცრად თავმდაბალ ახალგაზრდებს და უამრავი კითხვა გებადება თავში.

— უნდა გენახეთ იმ დღეს, როცა პირველად ავამუშავეთ ეს მექანიზმი, —სიცილით გეუბნება ო. ბლიაძე, წარმოსადეგი, ბეჭვანიერი ვაჟკაცი, გეუბნება კი არა, რაც ძალი და ღონე აქვს ყურში ჩაგაყვირის, რადგან ავრეგატების გრუხუნ-გრიალში სხვანაირად შეუძლებელია საუბარი. — როგორც იყო ჩავრთეთ. საღამოს შვიდი საათი იქნებოდა. დაიწყო მუშაობა. ვდგევართ და შეგყურებთ, მუშაობს. გახდა ათი საათი, თორმეტი... მაინც ვერ ვაცილებთ თვალს, ვუცქერით და ვტკბებით. დილის ოთხ საათამდე ვამუშავეთ. ბედნიერებისაგან გაოგნებულები დიდხანს ვეღარ ვახერხებდით რაიმეს თქმას. ბოლოს ვიღაცამ მოიფიქრა, წავიდეთ ბაში ვეჭამოთ და ჩვენი პირმშოც ვადღეგრძელოთო. მაშინ კი ვიგრძენი როგორი მშივრები, დაღლილნი და ბედნიერები ვიყავით. ირაკლის პინგ-პონგის თამაშიც კი დავიწყეთ იმ დღეს.

შაგთვალწარმა, ახოვანი ირაკლი ეორდანია მხიარულად იღიმება.

— არა, სანინტერესო მაინც ის იყო, — იცინის იგი, — რომ იმავე დღეს ჩვენს რომელიღაც მუშას ამ მანქანისთვის ცარცით წაეწერა ზედ „ვოსტოკ-8“, და ახლა ყველა „ვოსტოკ ტრის“ ეძახის.

შენც რატომღაც სიხარულით იცინი, იცინიან შენს ირგვლივ შემოკრებილნიც. მერე საამქროს უფროსი პ. წერეთელი დაწერილებით გიპასუხებს ყველა შეკითხვაზე და შენთვის უკვე საბოლოოდ ნათელი ხდება დგან „400“-ის სრული ავტომატიზაციის უდიდესი მნიშვნელობა.

ახლა ამ დგანს 19 ოპერატორის მაგივრად 3 ოპერატორი ემსახურება, ავტომატიზაციის შედეგად შრომისნაყოფიერება 67 პროცენტით გაიზარდა, მილების თვითღირებულება 28 პროცენტით შემცირდა, უკვე ჩიღლული საერთო-ეკონომიური ეფექტი კი წელიწადში 2 მილიონ მანეთს აღემატება. და თუ ყოველივე ამას მუშაკებ იმასაც, თუ რაოდენ შეუმსუბუქდათ ამით შრომა ადამიანებს (მარტო საგლინავ ღერძზე სამართულების ჩამომცმელ-ჩამომხსნელმა მექანიზმმა ოცზე მეტი მუშა გაათავისუფლა ძმიმე და სახიფათო სამუშაოსაგან). ნათელი გახდება, რა დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაცაა მიღწეული. აი რატომ მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა, საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის, მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების მაღალი შეფასება ამ შესანიშნავი გაუმჯობესების ავტორებმა, რომლებიც ლენინურ პრემიაზე არიან წარდგენილნი.

სავსე გულითა და მდიდარი, შთაბეჭდილებებით ტოვებ მეტალურგიულ ქარხანას, მილსაგლინავ საამქროსა და მის საუცხო ადამიანებს და სიამაყით განმსჭვალული კიდევ დიდხანს ფიქრობ მათ ნათელ გონებასა და შეუპოვრობაზე.



(მარცხნიდან): მილსაგლინავი საამქროს უფროსი პ. წერეთელი, მისი მოადგილე ი. ეორდანია და დგანის მექანიკოსი ო. ბლიაძე მათ მიერ შექმნილ სამართულების ჩამომცმელ-ჩამომსხმელ მექანიზმთან.




### სილოვან ნარიმანიძე

ტყის პირას პატარა სადგურია,
ძმათა სასაფლაოს გვერდით,
იქ ერთი მოხუცი მდგმურია —
იქ თეთრი ხეცა დგას ერთი.
ხან წვიმს,
ხან ავი ქარია,
ხან თოვლია და
ყინავს...
იყვნენ და აღარ არიან,
მათ ახლა ერთად სძინავთ...
სხვადასხვა მთებიდან,
სხვადასხვა თემიდან
მოვიდნენ საომრად მტერთან,
ისინი ვაჟკაცურ ბრძოლაში
დაეცნენ,
ამიტომ დამარხეს ერთად...
როცა წვიმაა და ატალახდება
გზები,
მაშინ თითქოს მოიწყენენ
ძმები...
როცა მზეა და ცა ლაჟვარდია,
მაშინ ლოდიც სასაფლაოს ამაყად
ადგია...
ამ პატარა სადგურისთვის
იბრძოდნენ,
იბრძოლეს და..
აქ დაისადგურეს...
შინ დარჩათ ცოლი, შვილი,
დედა, მამა და პაპა
(ხანდახან ფანდურსაც რომ
ამღერებს).
ბევრი დღესაც ელოდება
ბევრს...
სასაფლაოს კი რთავს მოხუცი
მორიგე,
მატარებელს რომ უჩვენებს
ხან ყვითელ,
ხან მწვანე ფერს...

**ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია კომუნისტურ შრომად სოციალისტური შრომის თანდათანობით გადაზრდის მატერიალური საფუძველია.**

სკკპ პროგრამიდან.

ქმრის მონა-მორჩილ ბებიასაც სჯეროდა ჩემი ავსულობა.

თუ სიზმარივით კარგი რამ მახსოვს, ეს მხოლოდ დედისაგან.

ბაბუამ საწყალი დედაჩემი ვორონეჟელ ვაჭარს მოითხოვა. ისიც კარგად მახსოვს, თუ როგორ ჩამიკრა მტირალმა ქალმა გულში, მოცსა დიდხანს და მერე მითხრა, სულ ცოტა ხანი გაძელი და ჩემთან წაგიყვანო.

მაშინ მე სამი წლისა ვიყავი.

უდედოდ დარჩენილ ბალღს უგულო ბაბუა ყოველ წუთს სულში საწამლავს მაწვეთებდა.

ვიზრდებოდი. ჩემი უიმედო მომავალი არ მასვენებდა.

როგორც იყო მეხუთე კლასამდე მიკაღწია და წიგნებზე ხელი ჩავიქნიე.

სკოლიდან გამრიცხეს, მაგრამ შინ დაბრუნებულს არაფერ მკითხა ამის მიზეზი.

ერთ დღეს, გოროზად შუბლშეკრულმა ბაბუამ ბოცვერების მოცლა-პატრონობა დამავალა, თუ მათთვის საკვები დროზე არ მიგიცია, არც შენ ჩაგიკა ლუკმა პირშინი, მითხრა.

ახალგამომცხვარ მეზოცვერეს ბალახეული და ბოსტნეული უნდა მეზიდა.

არც ისე იოლი იყო ეს სამუშაო, როგორც პირველ დღეს მოგიჩვენა.

მოხუც ტარასენკოს ოჯახში ეს მოუსვენარი ცხოველი ჭინაქველასავით ირეოდა. სხვა რა გზა იყო! ბედს დავემორჩილე. დილიდან დაღამებამდე წყლში გამართვას ვერ ვასწრებდი, მაგრამ იმ შეჩვენებული ბოცვრების დაპურებას ვერ ვასწრებდი. და მეც ნახევარჯერ მშიერს მტოვებდა ჩემი პატრონი. ბაბუაჩემი ქურდების, ავაზაკების შთამომავალს მეძახდა, მას სწამდა, რომ ბოშები მტკივნეულ მეფუძად ვიყავით გაჩენილი და, ადრე თუ გვიან, ჩვენს ამოძლეტას წინასწარმეტყველებდა.

ამ დროს მე ვიღაც უხილავი ლანდივით დამდევდა და მეჩურჩულებოდა:

— შენი ტანისა და სახის ყმაწვილი მებოცვერედ არა ხარ დაბადებული, თუ გული გაგქს, წადი და შენი ბედი ეძიე. შენი სიამოვნების ერთი წუთი გერჩიოს ბაბუაშენის ბოცვრებს, მის ოჯახს.

და მე, ამ ცხოვრებაზე გულგატეხილი თეძესმტერ წლის ყმაწვილი, ბოროტ დაცინვასა და აუტანელ შრომას გავექეცი. ეორონეჟს მივაშურე. აქ დედაჩემი მიმღოდა მენახა. მენახა კი არა, მშობლისათვის შორიდან მომეკრა თვალი და გზას გავყოლოდი, ბედი მეძებნა.

მე არც ამ ქალის სიყვარულის ნასახი მედო გულში. მას რომ შეილვიათ ვეკარებოდი, როგორ შეეძლო ჩემი— პირმშოს, ისეთ კაცთან დატოვება, რომელიც მისი აქ ყოფნის დროსაც კი მოურიდებლად მაძალებენდა.

ჩემი მშობელი გარდაცვლილიყო, ვაპური და ძეხვიც მომიტანეს. კმაყოფილმა, რომ სტომაქი მთელი დღე არ შეშაფუებებდა, ხელი ჯიბეში თამამად ჩავიყავი, შიგ დიდხანს ვაფაფურე, მაგრამ რა უნდა მენახა, როცა ღამით სადგურის „მესვეურთ“ გულმოდგინედ „ბანვეანნ“. სასაუზმის მეპატრონემ მაწანწალად მიმიღო და ხელკეტს წაეტანა. კუთხეში გაფეთრებული ვიდექი. ცემაზე უფრო ხვალინდელი დღე მაშინებდა. უცხო ქალაქში, ჯიბეგაფხეკილ ღლაპს რა უნდა მექნა?

ხელკეტიანის წინ მეეტლენი გადაუდგნენ. ხელში ფული მიაჩეჩეს, დაამშვიდეს.

სასაუზმედან ხელნაკრავივით გავვარდი. ანგარიშმიუცემლად მივიწევდი სადღაც. უკან თითქოს უხილავი მომდევდა და მომძახოდა,—თვალი გაახილე, იქნებ უარესიც მოგივიდეს, მაგრამ ნუ შეშინდები, მკლავი გაშალე, მხარული, მხარული, თორემ დაიბრეხობინო.

და მეც ნაბიჯი შევანელე, მივიხედ-მოვიხედე. თითქოს დამშვიდდი კიდეც, ბედს შეგუებულმა გაბედულად ამოვისუნთქე...“

თავაუღებლად ვკითხულობდი ტამანოვის თავგადასავალს. თუმცა ჩემთვის ჯერჯერობით გაურკვეველი იყო, მართალს სწერდა ის თუ ტყუოდა, იქნებ თავს აკოდებდა სამართალს, რომელიც ასეთ შემთხვევაში დამნაშავის მირით შემწყნარებლობას იჩენს, მაგრამ თავისი შინაარსითია და დამაჯერებლობით საინტერესო ამბავს მიამბობდნენ ეს, ლამაზი ხელით აპრეულებული ფურცლები.

იგორის ნაწერი თავისი ფორმით ბრალდებულის ჩვენებას არ ჰგავდა. მე ეს დასტა ქაღალდი საქმისთვის დაკითხვის ჩვეულებრივ ფურცლებზე უფრო საჭიროდ მიკიჩნიე, ეიფიქრე: თუ ამ ადამიანის ფორმირებაში ბნელმა ძალებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს, თუ ტამანოვი სოციალური უკუღმართობის მსხვერპლი გახდა, და მანამ, სანამ ჩვენი ქვეყანა დუხჭირ დროს თავს დაალწევდა, ცხოვრებამ ეს ბოშა დამნაშავეე გახადა, რასაკვირველია უ ჩვენება, რომგორც წარსულის უკუღმართობის მაგალითი, შეიძლებოდა ტამანოვის შეწყალებისათვის კარგ საბუთად გამომდგარიყო.

იქნებ იგორის ეს ნახელავი ერთ დროს ახალი თაობისათვის საინტერესო აღმოჩნდეს.

მერე რა, რომ ეს ფურცლები გაუსაძლისი ადამიანის ცხოვრებაზე მეტყველებენ? დიახ, ეს ფურცლები და მრავალი სხვა ასეთი, ქვეყნის ვერაკოზით გამგეელებულ ადამიანთა ცხოვრების სურათები, ჩვენი შვილებისთვის საინტერესო იქნება-მეთქი ვიფიქრე და სტრიქონებს დინჯად ჩავეცეი:

„ხალხით სავსე ქუჩებში თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს უდაბნოში მარტოდმარტო ვყოფილიყავი.

ბაბუაჩემის ოჯახში დაბრუნებას სიკვდილი მერჩივნა. მაგრამ აქ, ამ გულქვა ქალაქში საამდელო არაფერი ჩანდა. დაღამდა. ქალაქის მთავარი ქუჩა კრესჩატი კი გაჩირაღდნდა. დაღლილ-დაქანცული უაზროდ მივყვებოდი ხალხის დინებას. ერთი ქუჩის კუთხეში მივდექი. უხილავი ისევ ისე შმეიდი, დამაჯერებელი კილოთი მეზურჩულებოდა: თექვსმეტი წლის ბაბუკი ხარ, ჯანსაღი, კუნთმაგარი. გული? სირცხვილია გული არ გერჩოდეს. თუ მართლა გულდედალი არა ხარ, მიიხედ-მოიხედე, ნუთუ ამდენ ხალხში საკმილო ვერ ნახე?— მესმოდა ჩურჩული.—თუ თავი ჩაქინდრე, სითამამე არ გამოიჩინე, ხელი არავის დაატანე, დაალუბები, შე საცოდავო. და მეც ბნელ ქუჩებში ერთ ხანს ისე დავდიოდი, როგორც კატა, რომელიც ბეღურების გუნდს ეპარება. ქუჩებში ხალხი შეთხელდა. თვალი ვერავფერს ვერ დავადგი. ისევ სასოწარკვეთილებამ შეპიპარა. გარდა სურვილისა, აკეკცობას ალპათ კიდევ სხვა რაღაც უნდა-მეთქი, ეიფიქრე და ისევ კრესჩატიკისკენ გავწიე. იმ განიერ, ზღაპრულად ლამაზ პროსპექტზე აფორიაქებულმა სულმა ოდნავი სიმშვიდე იგრძნო. მის სიღრმეში ოფლის ნაპერწკლითვინ გაიელვა რაღაცამ და მეც, წამით ემაყოფილი ადამიანივით ამოვისუნთქე.

გაჩირაღდნებულ კაფესთან შევჩერდი. შევისვენე.

ქმაფენილზე თეთრცხენებიანი კარეტა იდგა. თეთრწვერა მეეტლე თვლემდა. რატომღაც, შუბლი შეშეკრა. კოფოზე უძრავად მდგარი მოხეცი ბაბუაჩემს მივამსგავსე და გამაკრთოლა.

ქალის წკრიალა ხმამ გამომაკვიცა:






— მოგწონს ჩემი კარეტა?—ჩამესმა და შევბერუნდი.

მდიდრულად ჩაცმულ ახალგაზრდა ქალს, ხანშიშესული, ღიპგადმოგდებული მამაკაცი მოპყვებოდა. ქალი ჩემთან მოვიდა, შედგა, ეგეიინებულმა თვალებში ისე ჩამხედა, თითქოს მეუბნებოდა: შენ აქ საიდან? როგორ? რამდენი ხანია დაგეძებო. არც მე მოვარიდე თვალი. ჩემდაუნებურად ისე გავეღიმე, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, ახლოსელს.

ქალი უხმოდ დამაშტერდა ერთ ხანს.

— პაემანზე ხარ, შაბუკო?— მკითხა ეშეხარეგი ხმით და ამხედ-დამხედა.

— პაემანი?!—გავიკვირვე.—რა მეპაემანება. პაემანი კი არა... ვიგრძენი ამ ლამაზი არსების მომჯადოებელმა თვალებმა, მისმა ბავშვურმა ტატნმა როგორ გამიბაღრა სახე. ენაც თავისუფლად

(გაგრძელება. იხ. ფურნ. „დრო“ № 4, 6, 7, 8, 9, 10, 12).

# ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორდე დგებუაძე

# თეატრი ფურცლები

**სოსო ბეჭიაშვილი**

გასული წლის ნოემბერს მოსკოვის დიდმა სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა განახორციელა ახალი დადგმა — ანდრია ბალანჩივაძის ბალეტი „ცხოვრების ფურცლები". ეს სპექტაკლი თეატრის კოლექტივმა მიუძღვნა ისტორიულ თარიღს — სკკპ XXII ყრილობას.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ეს ახალი ნაწარმოები მხატვრული განსახიერებაა საბჭოთა ხალხის გმირობისა და მისი სულიერი სიმდიდრის. იგი ამალელვებელი პოემაა ჩვენი თანამედროვე ადამიანების მამაცობასა და კეთილშობილებაზე, მათ სიყვარულსა და მეგობრობაზე, სამშობლოსადმი ერთგულებაზე.

როგორც ცოცხალი მატიანის ფურცლები, ისე იშლება ამ ბალეტის ეპიზოდები.

პირველი ფურცელი...

აღორძინებული სევასტოპოლი. ნანგრევებიდან აღდგენილი გმირი-ქალაქი. აქ, ახალგაზრდობის მხიარულ დღესასწაულზე, ერთმანეთს ხვდებიან ორი თაობის წარმომადგენლები— სევასტოპოლის დაცვის გმირი ანდრო თავისი ქალიშვილ ნინოთი და ქვრივი თამარი ვაჟიშვილ გიორგით, რომელიც დალუპული მამის მოსახელეა.

თამარსა და ანდროს აგონდებათ თავიანთი ახალგაზრდობა და მათი ბიოგრაფიის ფონზე მაყურებლის წინაშე იშლება ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი და ამაღელვებელი ფურცლები.

ბალეტ „ცხოვრების ფურცლების" მუსიკა ნათელი და დიდად ემოციურია. მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი ცეკვისათვის მეტად მოხერხებული და ადვილია.

სწორედ ამ ძვირფასმა თვისებებმა გაპირობებს ბალეტის საუკეთესო ქორეოგრაფიული და სცენური გადაწყვეტა, რომელიც ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა ბალეტმაესტრს პროფესორ ლეონიდ ლავროვსკის. მისი დადგმა და რეჟისორული მუშაობა განირჩევა მდიდარი ფანტაზიით, მაღალი გემოვნებით და პროფესიული ოსტატობით.

ბალეტი „ცხოვრების ფურცლები" უკვე მეხუთე თვეა მიდის დიდ თეატრში, მან დიდი მოწონება დაიმსახურა მოსკოვის მომთხოვნ მაყურებელში.

ბალეტის წარმატებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მასში მონაწილეობენ დიდი თეატრის საბალეტო დასის საუკეთესო ძალები — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რ. სტრუჩკოვა, დამსახურებული არტისტები ი. უდალოვი, ა. რადუნსკი, ლ. ბოგომოლოვა და სხვები.

ქართული ბალეტის წარმატება მოწმობს აგრეთვე იმას, რომ დიდი თეატრი ნაყოფიერად ისწრაფის გაამდიდროს თავისი რეპერტუარი მომე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით.

ზ. ფალიაშვილის უკვდავი ქმნილების— ოპერა „აბესალომ და ეთერის" შემდეგ მოსკოვის დიდმა თეატრმა კვლავ მიმართა ქართულ მუსიკალურ დრამატურგიას და ამჯერად თავისი არჩევანი, სრულიად სამართლიანად, მიაკუთვნა ნიმეიერი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის ნაწარმოებს.

ა. ბალანჩივაძესა და მოსკოვის დიდ თეატრს შორის შემოქმედებითი ურთიერთობა გრძელდება. ამ თეატრის დაკვეთით კომპოზიტორი შეუდგა ახალი ერთმოქმედებიანი ბალეტის წერას, რომლის სიუჟეტად აღებულია ლერმონტოვის პოემა „მწერი". პარალელურად იგი მუშაობს მეოთხე საფორტეპიანო კონცერტზე.

ანდრია ბალანჩივაძის ბალეტის—„ცხოვრების ფურცლების" მოსკოვის დიდ თეატრში დადგმა ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართული კულტურის ისტორიაში.

ატარტარდა, მაგრამ ამ უძველო სხეულს დროზე დგომდგი ჭიანური,—ისევ გაკლია, ეიღაც მეტიჩარა დედაკაცს თავი შეაბრალოო,—მითხრა გულმა და ისე გავყარე ტუჩები, თითქოს ყურებზე ჩამეტეხოო ვიღაც. ქალმა ეშმაკურად გაიღიმა. თანამგზავრს ირიბად გადახედა, თვალები მოეტუტა და მე მომიბრუნდა:

— აქაური არ უნდა იყო, ბიჭო!

— არ შემცდარხართ, — ვუპასუხე უდარდელი ხმით.

— ვინ გყავს მასპინძელი კიევში?

— არავინ.

— კეთილი. ადი კოფოზე. ჩვენთან ვილაპარაკოთ, ოჯახში,—ბრძანების კილოთი მითხრა და მერე ღიმაინ კაცს მიუბრუნდა. — სახლში ვილაპარაკოთ არა, ნიკოლაი პეტროვიჩ! საინტერესოა, ასეთი ახალგაზრდა და აქ არავინ, ჰყავს,—უთხრა მხლებელს და მოურიდებლად გადაიკისკისა.

— საინტერესოა, საინტერესოა, ვარ-ვარა დავიდოვნა,—მორიდებული ხმით უპასუხა მამაკაცმა და მე თვალით კარეტაზე მანიშნა.

არც კი დავფიქრებულვარ, სანამ კარეტის კარი გაიღებოდა, მე თეთრწვერა მეეტლის გვერდით ვიჯექი კოფოზე. ეცება მეეტლე უკან გადახრილიყო და აღვირის თასმებს ღონივრად ჩასჭიდებოდა.

ყელმოღერებული ბედაურები ქარივით მიჰქროდნენ ცარიელ ქუჩებში.

— სადაური ხარ? — მკითხა თეთრწვერამ ოდნავ გასაგონი ხმით. პასუხი არ გამიცია. გვერდზე ისე გავიხედე, თითქოს მისი ინტაყვები ცხენების ფეხების თქარათქერში ჩაძირულიყოს, არ გამეგონოს. მართლაც რომ არ შემეძლო მეპასუხა სადაური ვიყავი. მე ხომ არც სახლ-კარი მქონია და არც გულშემტკივარი მყოლია?

და ახლა სად მივდიოდი, ვისთან? რისი უნდა შემშინებოდა. რა მქონდა, რას დაკკარგავდი? მაგრამ ეს ქალი, ნახვისთანავე კეთილი და მიმზიდველი მეჩვენა. თუმცა ის სქელი, ხანდაზმული მამაკაცი, მას ისე ექცეოდა, როგორც ქალბატონს, მაგრამ ეს კოაზნა არსება ჩემზე უფროსი სამი-ოთხი წლით თუ იქნებოდა. ვინ არის ნეტავ? ალბათ, დიდი ბატონის ქალიშვილია

ვინც გინდა იყოს, მე რა მესაქმება? ალბათ, ჩემი შინ მიყვანის უფლება აქვს, თორემ ასე თამამად ქუჩაში ნამოვს ვიღაც უცხოს...

— სადაური ხარ?—კიდევ ოდნავ გასაგონი ხმა მეეტლისი.

— პოლტაველი ვარ,—ვუპასუხე და ისევ თავი გვერდზე მივიბრუნე.

— პოლტავა, პოლტავა,— ჩაილაპარაკა მეეტლემ და რატომღაც აღვირი ნერვიულად შეათამაშა.

ბედაურებმა ფაფარი აიყარეს. ნალებქვემ ბაკურწყლებმა იელვეს.

დათთხილი ცხენები ორსართულიანი სახლის ალაყაფის კარს მიადგნენ.

რკინის მძიმე ჭიშკარს იქით მშვენიერი ბაღი გამოჩნდა. როცა მსახურმა მძიმე კარი გააღო და თეთრი ცხენები ეზოში ქარივით შეიჭრნენ, ვარდ-ყვავილების სურნელებამ სიამით ამავსო.

თითქოს იმედის სითბო ჩამეღვარო ბოღმით ჩაკირულ გულში. გადაეწყვეტა ამ სახლსა და ეზოს არ გაგცლოდი, ამ კეთილი ქალბატონის ერთგული ვყოფილიყავი.

(გაგრძელება იქნება)

# ქართული წერილობა და ეროვნული ფასეულობა

„ვეფხისტყაოსანს“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი არტურ ლიანტი საქართველოში პირველად 1884 წელს ჩამოვიდა. 1882 წლიდან იგი ხშირად ბეჭდავდა წერილებს საქართველოზე პოლონურ და გერმანულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ უცხოეთში ყოფნის დროს, მწერალი საგულდაგულოდ დაინტერესდა აკაკი წერეთლის შემოქმედებით. იგი მასალებს ეძებდა, რათა აკაკის ნაწარმოებები უცხო ენებზე ეთარგმნა. ამაზე მიგვითითებს ლიანტის მიერ ფრანგულ ენაზე დაწერილი წერილები, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტისა და საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში.

ლიანტი 1882 წლის 2 სექტემბერს აკაკის შესახებ წერს წერილს (ლიტერატურული მუზეუმი № 18804). ეს წერილი იწყება მიმართვით: „ჩემო ძვირფასო და ღრმად პატივცემულო თავადო“, მაგრამ წერილის ადრესატი უცნობია. ტექსტში მოხსენებული არიან ი. ჭავჭავაძე ა. წერეთელი და რ. ერისთავი.

„უნდა ვიფიქროთო, რომ წერილი გამოგზავნილია დავთი ერისთავთან, რომელთანაც ლიანტს უკვე ჰქონდა მიმოწერა. დავით ერისთავი სწორედ ამ წლებში (1882-1884 წლამდე) იყო „კავკაზის“ რედაქტორი. როგორც წერილიდან ჩანს, ლიანტი იღებდა ამ გაზეთს. საფიქრალი ბუნებრივია, რომ დამამარცხებათვის მას შეეძლო პირველ რიგში ამ გაზეთის რედაქტორისათვის მიემართა. „ეჭვნაღდ ჩვენს ხალხს აინტერესებს ეროვნული, რაც ეხება თქვენს ლიტერატურასა და საერთოდ თქვენს ცხოვრებას, — წერს ლიანტი, — კაცმა განმეორებით უნდა გთხოვოთ, გამომეგზავნოთ რუსულად თარგმნილი რიგი თხზულება. მიეკითხა სიკეთე და დამეწერეთ რამდენიმე სიტყვა თავად წერილელზე... მე კარგად ვიცი, რომ მისი ლექსები ძალიან კარგია. დარწმუნებული ვარ, ძვირფასო თავადო, რომ უფერადებად არ დასტოვებთ ჩემს თხოვნას. მისი უმეცრები ნაწარმოებიც კი მომანიჭებს სიამოვნებას, ამით კი ვისარგებლებ, რათა ქართული ჩანგის ბანგებმა გამოძახილი ჰპოონ დასავლეთში“.

ეს წერილი ეკუთვნის იმ დროს, როცა ლიანტი პირველ ნაბიჯებს დგამდა ქართული ლიტერატურის შესასწავლად, როცა მას გასასაუთრებით სჭირდებოდა დახმარება და რჩევა-დარიგება. სწორედ ამ პერიოდს (1882-1883 წლებს) ეკუთვნის ლიანტის ორი წერილი აკაკი წერეთლისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H — 1496 (7). ლიანტის პირველი წერილი აკაკისთან გამოგზავნილია 1882 წლის 24 იანვარს ეოლენის გუბერნიიდან, იმ დროს ლიანტი კერძო გუფერნიორად იყო მდიდარი მემამულის ოჯახში. აკაკი წერეთელი არ ყოფილა ლიანტის პირველი კორესპონდენტი, რადგან, როგორც წერილშია ნათქვამი, აკაკის მისამართი მას დავით ერისთავისაგან გაუგია.

„თავადმა დავით ერისთავმა სიკეთე მიყო და მაცნობა თქვენი მისამართი, რითაც დიდი სიამოვნებით ვსარგებლობ, რათა გთხოვოთ დახმარება ზოგიერთ ლიტერატურულ საკითხებზე, რომლებიც თქვენს მშვენიერ სამშობლოს შეეხება“, — ასე იწყება წერილს ლიანტი. შემდეგ კი ლაპარაკობს იმ ინტერესზე, რომელიც აღძრია მას საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის გამო. რამდენადაც ეს საკითხები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დასავლეთში, მას სურდა შეძლებისამებრ გაეცნო გერმანელი და პოლონელი ხალხისათვის საქართველო და მისი კულტურა.

„ამ ამოცანისათვის მე არ ვგრძნობი გასაჯავრ, — ქართველი ენის ცოდნა, და თუმცა უკვე დავიწყე შეცადინეობა ამ დარგში, მაინც ვკმაწილე, რომ ეს ძალნე შეფიერხეს ჩემს მუშაობას, თუ მე დავეწყალოდენ ამ დროს, როცა მოვიპოვებ თქვენი ენის იმდენ ცოდნას, რომ შევძლო დედანში წვეკითხო ქართული ნაწარმოებები. ამის გამო ვბედავ გთხოვოთ, ხომ არ არსებობს რუსულად თარგმნილი ნაწარმოებები, რომლებიც შეიძლება გავრცელდნენ ჩვენს ხალხში. მე ბევრი ქება წამიოთხავს თქვენს კომედიებზე, ჩემი თავადო, და ვფიქრობ, რომელიმე მათგანი შეიძლება გადავიღოთ იმ ენებზე, რომლებზეც ზემოთ გელაპარაკეთ. მომანიჭეთ ეს სიამოვნება და გამომიგზავნეთ რუსულად პროზით თარგმნილი ერთ-ერთი თქვენი ნაწარმოები ან ლექსი, და მე სიამოვნებით გადავიღებ მას ლექსად, ანდა, თუ ეს მოსახერხებელი არ იქნება, პროზით ვერმანულად ან პოლონურ ენაზე. მაგრამ, შერჩევისას, მიეკითხ სიკეთე და შეარჩიეთ ისეთი პიესა, რომელიც გამოხატავს თქვენი თანამემამულეების დამახასიათებელ მხარეებს“.

შემდეგ ლიანტი აქვე ურთავს იმ ფრაზებ-ნაარსს, რომელსაც წერრა იგი ქართულ სიტყვებზე, შთა რუსთაველსა და, თამარ მეფეზე. წერილის დასასრულს ლიანტი იმედოვნებს, ზაფხულში ჩამოვალ საქართველოში და პირადად გავიცნობ მის ადამიანებს, ცხოვრებას... და ბუნებასაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ წერილმა დიდად აოცა-ტერესა აკაკი, რამდენადაც მან საჭიროდ ჩათვალა გაეცნო იგი „ფერიებს“ რედაქციისთვის.

„ჩვენ წავიკითხეთ წერილი. ეამელეკა ... აკაკი წერეთელს მოუვიდა ამ დღეებში პოდოლის გუბერნიაში მცხოვრების ერთ ნემეცისაგან — ბ. ლეიტნისაგან, რომელიც დიდის ქებადიდებით იხსენიებს ჩარსულ ისტორიულ ცხოვრებას, ამბობს სურვილი მაქვს ეს თქვენი წარსული ევროპას გავაცნოო (ნემეცურ და პოლშურ ჟურნალებისათვის ვამზადებ სტატიებს საქართველოზედაო) და გთხოვთ ამ საქმეში ხელი მოიმართოთო“. („დროება“ 1882, 25-1). ესაა პირველი ცნობა არტურ ლიანტზე ქართულ პრესაში. 1882 წელს პოლონურ ენაზე დაიბეჭდა ლიანტის წერილი საკანმაბალთლებელო მოძრაობის ზრდაზე საქართველოსა და სომხეთში. ამ ნაშრომის თარგმანი მოთავსდა გაზეთ „დროების“ 1882 წლის 70-ე ნომერში. XIX საუკუნის მწერალთაგან ამ მოხსენებულნი არიან ბარათაშვილი, ორბელიანი, წერეთელი, ნიკოლაძე.

გერმანული ჟურნალის ფურცლებზე ლიანტმა მოათავსა წერილი, სადაც უფრო დაწერილებით სცადა გაეცნო ევროპელი მკითხველისათვის საკართველოს კულტურა. მან საკმაოდ ჩასთვალა ეს ნაშრომი კამოეგზავნა აკაკისათვის. 1883 წლის 5 თებერვლის წერილში იგი წერს აკაკის: „ეუშინწინ გამოგიგზავნეთ Magarin für die Literatur-ის ნომერი და, ალბათ იგი უკვე მიიღეთ. ესაა ჩემს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი გერმანიისათვის თქვენი ლიტერატურის კაცნობის საქმეებში... მიეკითხ სიკეთე და გამოგიგზავნეთ თქვენი „Wroma-ს რამდენიმე ნომერი, ამ სტატიას ვწერ რუსულად, რადგან არ ვიცი ქართულად წერა, მაგრამ არ იფიქროთ, ღრმამაგიცემულო თავადო, რომ თქვენი ენა ესოდენ უცნობია ჩემთვის. არა, ყოველ საღამოს ვმეცადინეობ თითო საათს და რადგან ენების ძლიერ ადვილად ვეუფლები, რამდენადაც ვლაპარაკობ ეჭვს ეფრიალ ენაზე, აგრეთვე ქართულშიც წარმატებას ვაღწევ“.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსულამდე, ლიანტი სისტემატურად სწავლობდა ქართულ ენას.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ლიანტმა მიიღო საჭირო მასალები, სათანადოდ დაეუფლა ქართულ ენას და 1887 წელს ლაიპციგში გამოსცა ქართველ პოეტთა თარგმანების კრებული. აქ შეიტანა აკაკის მთელი რიგი ლექსებიც. პირადად აკაკის ლიანტი გაეცნო ილია ჭავჭავაძის სახლში 1884 წელს, საქართველოში პირველად ჩამოსვლისას, ხოლო 1887 წელს მან ინახულა პოეტის მშობლიური სოფელიც. აკაკი წერეთელთან შეხვედრებზე ლიანტმა მრავალი წელის შემდეგ (1922 წ.) დაწერა წერილი და ნარკვევი, რომელიც შესულია მის კრებულში „საქართველოს გული“.

**ნ. ორლოვსკაია,**

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტი.*

# იცი თუ არა შენ?

## ადამიანი

### რატომ არ იყინება თვალები

ადამიანი სიცივეს შეიგრძნობს არა მარტო კანით, არამედ კიბეზე გაფენაქული ნერვების დამოლებთა წერტილებითაც. ადამიანის სხეულზე დაახლოებით 250 ათასი ასეთი „სიცივის წერტილია“ გაფანტული. ეს წერტილები თანაბრად როდია განაწილებული. წელის არეში და თითებზე მრავალი „სიცივის წერტილია“ განლაგებული, თვალებში კი ისინი სრულებით არ არის, რის გამო ეს ორგანო არასოფეს არ იყინება.

სითბოს ჩვენ ე. წ. „სითბოს წერტილებით“ შევიგრძნობთ. მათი რიცხვი ადამიანის სხეულზე 30 ათასამდეა.

საერთოდ, სხეულზე შეხებისა და ტკივილის 500 ათასამდე წერტილი არსებობს.

## მფრინავი ციყვი

ბევრს გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ მფრინავი ციყვებიც არსებობენ. ბრაზილიის ტყეში შეიძლება შეხვდეთ პატარა ციყვს, რომელსაც ფრენას უწოდებენ. იგი მეტად სწრაფი და მოძრაული ცხოველია, მისი ხმა ძალლის ყეფას მოგვაგონებს.

ფრენა ხის ფუღუროში ბინადრობს, საკვებს სპეციალურ ფუღურო-საკუჭნაოში იმარაგებს, ხან კიდევ ხის ტოტზე ჩამოჰკიდეს ხოლმე.

საჭაროების შემთხვევაში ფრენას შეუძლია „პლანერად“ გადაჰკიდოს თავისი სხეული. ციყვი სწრაფად შლის ოთხივე თათს, თათებს შორის იბიმება სიფრიფანა ტყავი და ცხოველი პლანერივით გაფრინდება ხოლმე. ერთ-ერთი ტყისმპრელი მოწმე გახდა, თუ როგორი ერძალი ფრენითი ნახტომი გაკეთა ციყვმა. ხის მოკრის მომენტში კენწეროდან აფრინდა დამფრთხალი ფრენა, დაახლოებით 60 მეტრი გაიფრინა და მეზობელი ხის კენწეროზე ჩამოჯდა.

მფრინავი ციყვის ტანი დაფარულია შუქი ნაცრისფერი ბეწვით, რომელიც მეტად ძვირაფ ფასობს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ეშვიათი ცხოველი ფრენა ახლა გადაშენების გზაზეა დამდგარი.

## ბიბლიოლოგია

### ბიბლიოლოგიტო-ბრანი თევზი

ამერიკის მდინარეებში ცხოვრობს პატარა თევზი მორმორული. ეს თევზი ხშირად კუდით წინ დაცურავს, მაგრამ არაფერს არ ეკარება.

მეცნიერებს დიდხანს ვერ გაეგოთ თუ მხედველობის ორგანოს მოკლეებული თევზი როგორ იგებდა მარის მოაზოლვებს. ანგარძლივი დაკვირვების შემდეგ დადგინდა, რომ მორმორულს ამ საქმეში დახმარებას უწევს კუდი. თევზის კუდში მოთავსებულია ელექტრული ორგანო, რომელის ძაბვა 6 ვოლტს უდრის. ეს მინიატურული ბადმაქანი ყველა მხარეს გზავნის რადიოტალღებს. თუ ტალღები რაიმე სხეულს მოხვდა, ისინი აირეკლება და მათ უკანვე იპერს თევზი, რის შედეგად მორმორულსი შეუცდომლად იგებს ამა თუ იმ მოცულობის სხეულის მოახლოებებას.

ოქვენს საცხოვრებელ ოთახში სასურველია მოაწყოთ მყუდრო და მოხერხებული კუთხე, რომელსაც მეგობრებთან საუბრისათვის, წიგნის კითხვისა და დასვენებისათვის გამოიყენებთ.

კარგი იქნება, ეს კუთხე მკაფიო და ლამაზი დაჩითულობის მძიმე ფარდით გამომყოთ.

თაროებიანი ბადე, რომელზეც გემოვნებით განლაგდება სხვადასხვა დეკორატიული მცენარეები, საუკეთესო სამკაული იქნება ოქვენი დასვენების კუთხისათვის.

აუცილებელი არაა ავეჯი მუდამ სიმეტრიულად განლაგდეს. ცერად დადგმული სავარძელი თუ ტახტი ოთახის მომგებიან სივრცობრივ გადწყვეტას უწყობს ხელს და სასურველ თავისუფლებასა და ძალდაუტანებლობის განწყობილებას ქმნის.

ოთახის თაროები და კედლები არ უნდა გადაიტვირთოს ზედმეტი ნივთებით.

გემოვნებით შერჩეული რამდენიმე კერამიკული ნაწარმი და გრავიურა სავსებით საკმარისია ოთახის მოსართავად.

ოთახის მოწყობის მთავარი პრინციპი უნდა იყოს: სისადავე და უბრალოება, სილამაზე, სიმსუბუქე, მოხერხებულობა და ავეჯის გემოვნებით განლაგება. უნდა უარვყოთ არაფუნქციონალური ნივთებისადმი ზედმეტი სიყვარული.

ახალი საცხოვრებელი ბინები, მათი არქიტექტურული გადწყვეტა, თანამედროვე ცხოვრების სტილი და მოთხოვნილება, ახალი ტიპის ავეჯს მოითხოვს. იაფფასიანი, მცირე მოცულობის, სადა და კომბინირებული ავეჯი მოსახერხებელ საყოფაცხოვრებო პირობებს ქმნის.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ოთახის ნორმალური განათებაც. ტორშერითა და ბრათი მოწყობილი განათება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წყნარი და სასიამოვნო განწყობილების შექმნას.

თანამედროვე ადამიანის გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნილებას ვეღარ დაკმაყოფილებს ძველებური ყაიდის მძიმე და ზზნილ-პიპილებით მორთული ნივთები. ჩვენ დროს უყვარს ფორმების სიმკაცრე და უბრალოება, მოხერხებულობა საგნების მოხმარებაში.



მოდერნიზებული დაბალი მაგიდა, მის ირგვლივ დადგმული რბილი მოხერხებული სკამები ახალსახლ ადამიანის თვალს და ოჯახის წევრების საყვარელ კუთხეს ქმნი

სსტ. სახლი ვიცას პროსპექტზე. ოქტ. ზ. ყავლაშვილი.



თეატრალური საღამოები და კინო რესთაველის პოდიუმზე. ოქტ. ჯ. თუთუნჯიძე.

სსტ. ტურისტული სასტუმრო ფოთში. ოქტ. ნ. ოთაგაშვილი, ჯ. ოთაძე.



მოტორტელი სამხედრო ქალაქში ოქტ. ო. ქოჩაკიძე, ა. ხლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე.

სსტ. სახლი ვიცას პროსპექტზე. ოქტ. ზ. ყავლაშვილი, ჯ. ქერეიშვილი.

სსტ. ტურისტული ბაზა ფოთში. ოქტ. ო. ქოჩაკიძე, ა. ხლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე

ყრილობის მონაწილე მხატვართა ჯგუფი

სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ე. ბილაშოვა და მოქანდაკე პ. კანდელაკი

# ერთიანი ფიბლიოთეკა

# ფერწერული

საქართველოს ხელოვნების მუშაკები „დიდი შემოქმედებითი აღმავლობით შეეგებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის მუსიკოსთა, მხატვართა, თეატრისა და კინოს მუშაკთა ცხოვრებაში მძლავრ ნაკადად შემოიჭრა საბჭოთა ქვეყნის სისხლსავსე ცხოვრების ამსახველი თემები. შეიქმნა ახალი ტილოები, მუსიკალური ნაწარმოებები, სპექტაკლები, ფილმები... თანამედროვე ადამიანის მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრება, ბუნებრივია, ახალახალ თემებს შთაგონებს ხელოვანს და, ამიტომ, გასაგებია, რომ საქართველოს მხატვრები და მუსიკოსები ხელდამშვენებულნი მოვიდნენ თავიანთ ყრილობებზე.

იანვრის მეორე ნახევარში თბილისში გაიმართა საქართველოს მხატვართა პეტუთე და კომპოზიტორთა მესამე ყრილობები. ყრილობებმა შეაჯამა განვლილი 3-6 წლის მანძილზე ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობა და პარტიის ოცდამეორე ყრილობის მზიურ შუქზე დასახა ხელოვნების შემდგომი მუშაობის გზები.

ქართველ მხატვრებს და მოქანდაკეებს დიდი და სასახელო ტრადიციები აქვთ. ბევრი ქართველი ხელოვანის სახელი დიდი ხანია ვასაკეთ ჩვენი სამშობლოს, ფარგლებს და მათ მსოფლიო კულტურის საგანძურში დამკვიდრეს საპატიო ადგილი. უფროსი თაობის სახელმოსაგებელი ოსტატები თავის შემოქმედებას პარმონიულად უთანხმებენ პედაგოგის დიდსა და საპატიო საქმეს. ამითაცაა გამორჩეული ის გარემოებაც, რომ საქართველოს მხატვართა ახალი თაობა, თამამად შეიძლება ითქვას, დარსეულად მიიჩიჭეს საბჭოთა კაშარის მხატვართა მოწინავე რიგებში.

ყრილობამ, რომელიც ა. წ. 23 იანვარს გაიხსნა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მოიმზინა კავშირის თავმჯდომარის, რესპუბლიკის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის საანგარიშო მოხსენება. — ჩვენ ყველაან სიახლის ფხიდავთ, განაცხადა მან, — მეცნიერებაში, ტექნიკაში, შენებლობაში; დღეს იმადება ახალი კულტურა — კომუნიზმის კულტურა, რომელიც, როგორც კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაშია ნათქვამი, თავის თავში განასახიერებს ახალი სამყაროს საზოგადოების სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებას, სამდიდრესა და მაღალდიფერობას.

ამასთან დაკავშირებით ხელოვნების მუშაკებს დიდი და საპატიო ამოცანა აკისრია: მათ უნდა შექმნან ახალი ცხოვრების ამსახველი ტილოები, ახალი ადამიანის სულიერი სამყაროს, სიმდიდრე, კომუნიზმის შენებლობის ძლევამოსილი ხვლა სანუკვარი მიზნისაკენ. ამით საბჭოთა მხატვარი დიდ დახმარებას გაუწევს პარტიას ახალი ტიპის ადამიანის აღზრდის საქმეში, ადამიანებს გმირულ საქმეებს შთაგონებს, აუმაღლებს მათ ესთეტიკურ დონეს და მხატვრულ გემოვნებას.

ამ საპატიო ამოცანის დასაძლევად მხატვრებმა ღრმად უნდა შეისწავლონ ცხოვრება, ტრადიციონ მის შეჯაღულში, დაუცხრომლად იზრუნონ ოსტატობის ამაღლებისათვის. მხოლოდ შემოქმედებითად დასრულებულ ოსტატს შეუძლია ასწიოს ის დიდი და საპატიო სახელი, რომელსაც საბჭოთა მხატვარი ეწოდება.

საქართველოს მხატვრები წარმატებით მუშაობენ სახვითი ხელოვნების ყველა დარგში. მათ აქვავია თემატური კომპოზიციები, ეანრული და პორტრეტული ნაწარმოებები, დაზგური და წიგნური გრაფიკა, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს აშშენებენ ქართველ მოქანდაკეთა მიერ გამოძერწილი ქანდაკებები.

მაგრამ ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა დიდ რაზმში აქაც შეინიშნება პრიმიტიული, დაბალ მხატვრულ და იდეურ დონეზე მდგარი ნაწარმოებები, რომლებიც, რატომღაც, ჭერ კიდევ პოულობენ ადგილს გამოფენებსა და განსაკუთრებით, სხვადასხვა ორგანიზაციების ვესტიბიულებში, სამუშაო ოთახებში, სასტუმროებში, კულტურის სახლებსა და სხვა ადგილებში. ჩვენი ლამაზი რესპუბლიკის თვალწარმტაც საავტომობილო გზებს ჭერ კიდევ საკმარისად ჩვენი ქანდაკება ამახინჯებს. ასევე ითქმის ზოგიერთ რაიონულ ცენტრსა თუ სოფელში დადგმულ მონუმენტებზე, რომლებიც თავისთავად დაბალ მხატვრულ დონეზეა ზენრელებული და ელფერს უკარგავს მიდამოს, სადაც ისაა წამომართული.

ყრილობაზე მკაფიოდ ითქვა, რომ საქართველოს მხატვართა და მოქანდაკეთა უკანასკნელი პერიოდის ნამუშევრები ჩვენი დროის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, მაგრამ აქაც მაინც შეინიშნება გატაცება ზედმეტი პირმობითობით, სტილიზაციით, ხელოვნური პრიმიტივიზმით.

სკულპტორები მ. ბერძენიშვილი, რ. გვაზავა და მხატვარი ა. ბანძელაძე—ყრილობის მონაწილენი.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა



ფოტოზე (ზემოთ) მუსიკათმცოდნეები კ. საკვა და ვ. რუბინი (მოსკოვი). ქვემოთ—ყირიმობის მონაწილე კომპოზიტორთა ერთი ჯგუფი.

ყირილობამ, რომელმაც სამ დღეს გასტანა, ჩაიარა მაღალი შემოქმედებითი აქტივობით. ჩვენს მხატვრებსა და მოქანდაკეებს მტკიცედ აქვთ შეგნებული თავისი მაღალი დანიშნულება და ბმად ყრიან კიდევ უკეთესად ემსახურონ საბჭოთა ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებას. სწორედ ამისკენ მოუწოდა მათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესმა საბჭომ და მინისტრთა საბჭომ, რომელთა მისალმება ყირილობისადმი გამოაქვეყნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა დეკი სტურუამ. „ამოცანა ის არის, — ნათქვამია მისალმებაში, — რომ სოციალისტური რეალიზმის კეთილნაყოფიერ ნიადაგზე შევქმნათ ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერი ხელოვნების ნაწარმოებები, მკაფიოდ და მაღალმხატვრულად ასახოთ ჩვენი დღეების პეროიკა, აღვზარდოთ მშრომელები პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დავკმაყოფილოთ მათი გაზრდილი სულიერი და ესთეტიკური მოთხოვნილებანი"...

იანვრის დასასრულს მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყრილობამ. ჩვენი რესპუბლიკის კომპოზიტორთა ამ ყრილობაზე, ისევე, როგორც მხატვრებს, სტუმრად ეწვივნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების წარმომადგენლები. ყრილობა მეტად თავისებურად მიმდინარეობდა. ოფიციალური განსჯანი და მოხსენებების პარალელურად რამდენიმე დღის განმავლობაში დედაქალაქის საოპერო და საკონცერტო სცენებზე მიმდინარეობდა უკანასკნელ წლებში შექმნილი ნაწარმოებების ჩვენება. ყრილობის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ ჭერ მოესმინათ, ხოლო შემდეგ დეტალურად განეხილათ ოპერები, ბალეტები, ტრიბუნები,სიმფონიური, კამერული და საგუნდო ქმნილებები.

უკანასკნელ წლებში ჩვენ მოწმენი ვართ ქართული მუსიკის დიდი წინსვლისა. საკვეთნოდ გაითქვა სახელი ა. ბალანჩივაძის, შ. მეგელიძის, ი. გოკიელის, ა.მაჭავარიანის, ო. თაქაიშვილის, დ. თორაძის, ხ. ცინცაძის, რ. ლალიძის, ა. კერესელიძის, ბ. ბუკოსის, ო. გაბიჩვაძის, ა. შავერზაშვილის, ნ. გუდიაშვილის, ა. ჩიმაკაძის, ბ. კვერნაძის, ხ. ნახსირის, შ. მილორავას, ო. გორდელის, მ. დავითაშვილისა და ეგეკაძის, ტ. ბაკრაძის და სხვათა ახალმა ნაწარმოებებმა. სასიხარულოა, რომ ქართველ კომპოზიტორთა ქმნილებები სრულდება საბჭოთა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, — დემოკრატიულ ქვეყნებში, საფრანგეთში, შეერთებულ შტატებში, ი.პონიაში, ავსტრალიაში და სხვ.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენი კომპოზიტორები მუშაობენ საკომპოზიციო ხელოვნების ყველა დარგში. ქართველ მუსიკათმცოდნეთა გამოკვლევები არ შემოიფარგლება მარტო ეროვნული მუსიკის საკითხებით. ყრილობაზე გამოსული ორატორები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ ქართველ კომპოზიტორთა ოპერები და ბალეტები იდგმება მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა საბჭოთა თეატრებში; მათი სიმფონიური და კამერული მუსიკა შეტანილია საბჭოთა კავშირის საკონცერტო ორგანიზაციათა რეპერტუარში. უფროსი და უკვე დავიკარგებული მომდევნო თაობის გვერდით იზრდება დიდად საინტერესო ახალგაზრდობა, რომელთა ნაწარმოებებმა, კერძოდ ნ. ვაჩაძის კვარტეტმა, რ. ქარუხნიშვილის საცეკვო იმპროვიზაციამ, გ. უანერელის კონცერტმა, ვ. აზარაშვილის სავიოლინო სუიტამ, ნ. მაჭიხიშვილის „აკვარელმა" დ. სხვებმა უკვე მიიკვლიეს უფრაფლება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება ყირილობისადმი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ავიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. მ. გოგიჩაიშვილმა.

მხატვართა და კომპოზიტორთა ყრილობებს ეხურბნდნენ ამხანაგები: გ. ეკეგაძე, დ. სტურუა, ვ. სირაძე, მ. კუჭავა, ზ. კვაჭაძე.

# ახალი ზრომითი გამარჯვებებისათვის

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელილ სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა ბუნებრივია, მშენებლობის ინდუსტრიას მასშტაბებს ფართოდ გაშლილი საშენ მასალათა მრეწველობა და საშენებლო ინდუსტრია ესაჭიროება. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა ის დიდი თათბირი, რომელიც 30 იანვარს დაიწყო თბილისში პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირულ და საშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თათბირმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გიორგი გეგეშიძის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ წარმატებების შესახებ, რომლებსაც უკანასკნელ წლებში მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის მშენებლებმა.

ერთგვარ წარმატებებთან ერთად, — თქვა ამხ. გეგეშიძემ, — ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს. საშენ მასალათა მრეწველობის განვითარება ჩამორჩება დღევანდელი დღის მოთხოვნილებებს, აფერხებს კაპიტალური მშენებლობის ფართოდ გაშლილ ფრონტს. ამხ. გეგეშიძის მოხსენებაში გახსნილია ჩამორჩენის მიზეზები და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მოხსენების ირგვლივ გამართული კამათის მონაწილეებმა დაწერილებით ილაპარაკეს ჩვენი მშენებლობის უკეთ მომარაგებაზე საშენი მასალებით და თვით მშენებლობის ორგანიზაციის უკეთ მოწყობაზე.

თათბირის მონაწილეების მიმართვაში ჩვენი რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობისა და საშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშაკისადმი, ნათქვამია:

„ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობისა და საშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკს, ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას გადაჭრით გაიუმჯობესონ ხელმძღვანელობა საშენ მასალათა მრეწველობის და საშენებლო ინდუსტრიის განვითარებისადმი, გაადიდონ პასუხისმგებლობა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის, გაიუმჯობესონ წარმოების კულტურა, მიაღწიონ საწარმოთა არსებული სიმძლავრეების სრულ გამოყენებას, გააძლიერონ ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისათვის. მუშაობა უნდა წარმოებდეს დევიზით: გამოვუშვათ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაკეთობანი და საშენი მასალები!".

თათბირის მონაწილენი შესვენებაზე

# ისევ ეკიდა

## ოგნია იოსელიანი

ახლა მაგას ჰგონია მე მაგის ის მინდოდა... ჩაი მეორე ხარისხში მიელოთ და მაგას რამე უსიამოვნება შეხვედროდა. მე მაგი სულ არ მაინტერესებს, მე ჩემი ანგარიში მაქვს. თავზე ვერავის ვერ დავისვამ. მაგას თუ ჰგონია აგრონომია და მაგის ძმას მანქანა ყავს. ჩვენ რა, ჩვენ შოფერები ვართ და სხვის დაუმადლებელ პურსა ვჭამთ.

— არა, ეთუკეი, მაგან ასე არ იფიქროს...

— გავაჩერებ მანქანას და ვეტყვი.

— არა, გაუფერებლად ეტყვეი.

— შენ... — გავჩერდი, კარგად არ მომფიქრებია რა უნდა მეთქვა და ენა დამეხა. — ჰო, მართლა, რა ქვეათ?

— მე? — გულზე მიიდო ხელი, მერე ჩემსკენ მოიხედა. — მე მეკითხები? ლია, ლიანა ჰქვია...

— კარგი სახელია! — ვთქვი მე.

ვთქვი. მაგრამ რა მალაპარაკებდა, ვერ დავეტყე ჩემთვის? ვინ მეკითხებოდა კარგი სახელი ერქვა თუ ცუდი. ანდა, კაცმა რომ თქვას, რა სახელია ლიანა!

მაგრამ ჯანდაბას, ახლა ვეტყვი. შენ ისე არ გეგონოს, მე ისე, იმიტომ კი არა...

— თქვენ დიტო, არა? — გამაწყვეტინა ფიქრი.

— ჰო დიტო, არაა კარგი სახელი... მე არ მოგწონს, მაგრამ ახლა გვიანაა.

—სახელს რა კუკი აქვს?

ის უნდა გაგმომკრას, ვიფაცადა კაცმა ცუდი არ უნდა გაუკეთოთ ადამიანსო.

— ლიანა... მე... ისე კი არ გეგონოს... — დასწყვეტლოს ღმერთმა, მაინც ვერ ვთქვი.

— რა მეგონოს?! — წრფელად გაიიცა მან.

— მანქანის მართვა მართლა იცი? სულ არ მიფიქრია ამაზე. ჯეთხავეთქი, ეტყობა არაფერი არ გაუგია.

— არა ისე, საკუს ძლიეს ვასწორებ, ისიც სიჩქარეს თუ სხვა ჩამორთავს.»

არა, ასეთი სისულელე საიდან მოგვიდა, ჩაის ხარისხი როგორ გავაფუჭე. მართლა მარტო მაგისი ხომ არ იყო!

ამას კი არაფერი არ გაუგია. თითქოს ახლა ყოველგვარ საქმეს რომ მორჩა, ხასიათიც გამოიცვალა. ერთი ფიქრით ისიც კი ვიფიქრე. ამაღამ მაინც ვერავინ დამინახავს და საკუსთან დავაკეკრ-მეთქი. ამის გაფიქრებისთანავე ისევ ბრაზი მომივიდა ჩემს თავზე: საკუზე კი არა, თავზე დავიხვიამ!

ეს კი ზის თავისთვის და ისეთი ლამაზი ცხვარი და ტუსები უჩანს, არც ბრაზობს და არც არაფერი. თვალებსაც ისე აფახულებს...

მაგას ჰგონია რომ ისე, შემოხვევით მოხდა რომ ყუთში ფოთლები ნახეს! ვაი, რა ჩურჩუტი გოგო ყოფილა!

— ლიანა!

— დიტო! — იგი ჩემსკენ შემობრუნდა, — შენ რაღაცის თქმა გინდა!

— მე?

— შენ. რაც ფაბრიკიდან წამოვედით, სულ იწუთებ და მერე სხვას ამბობ.

— არაფერია ისეთი.

— კარგი, თუკი არაფერია, მაგრამ მე მგონია...

— იცი, ლია, მინდოდა მეთქვა, მაგრამ უარი რომ მითხარა...

— რა უნდა იყოს ისეთი, — შემომხედა და სიცილით განაგრძო. — ვიცი, ახლა შენ სიყვარულს არ ამბობ. ხელს არ მოხოვ და სხვა რა უნდა იყოს...

— არა, ლიანა, რას ამბობ! —მანქანა აქეთ-იქით მიეგზავნეტე გზას,— ეს კი არა და მინდოდა მეთქვა,საკუსთან დაკეკვა-მეთქი. მე ძალიან მიყვარს ქალები რომ მართავენ მანქანას.

— რატომ? რაა ამაში განსაკუთრებული?

— რა ვიცი. კაცია და ხასიათი. ნუ მეტყვი უარს, — მანქანა ადგილზე გავაქვავე და კარები გავაღე, —გადმოეკეკით აქეთ.

მართალია, სავარძლიდან წინ წაიწია, მაგრამ კონუსი ბოლომდე ვათაშა და საკუს ჩაიფრინდა მარცხენა ხელით. მეორით სიჩქარის სახელურს დაწვდა.

— წინ?

— არა, ლია, უკან. ბარემ მეორე სიჩქარით აიღე. — მე მის ხელს ზევიდან დავაფარე ხელი, სახელური უკან დავწიე.

— ვიცი, ვიცი, დიტო! — ხელი წამართვა და საკუს ორივეთი მოეკიდა. მანქანა უცაბ დაიძრა.

რა ვუყოთ მერე, გამოუცდელს და ისიც ქალს კი არა, ჩვენც მოვკდის, საატრფიულს უცაბ ავუწევდით ფეხს.

— წინ, წინ იიკერე ლიანა, სიჩქარეს მე თვითონ! — ვთქვი მე, როცა სახელურს დაწვდა ისევ და ორივე ხელი მოეხვიე მის ერთ ციცქნა მარჯვენას.

ძალიან ჩქარა დადის, ჯერ საკუს ვერ მართავს და ჩქარა კი დადის.

—სიჩქარის შეცვლისას, გზის უცხი აუშვი, ლია.

(დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „ფრაზა“ № 1).





მხატვარი
## ზ. ნიქარაძე

ფერი მახსოვს, თავით წინ რაღაცას შეეკასუდ და თვალთ დამიბნეულდა.

გონს მალე მოვედი. კაბინის პატარა ნათურა მიჭიატებდა თვალებში. თავი საკუესთან მედო ლიანას კალთაში. შუბლზე, მარჯვენა თვალის ვასწვრივ მეწოდა. ზედ ჩემივე ხელი მედო. თბილი სისხლი ეთხვედა.

— დიტო! — ჩამეცინა ლიანას შეშფოთებული ხმა.

მე მინდოდა მეთქვა, ნუ ეშინია. არაფერია.მეთქი და წამოვდგარიყავ. მაგრამ უცაბ, რატომღაც, ენა გავიკმინდე და ღია პირიდან მარტო ვმინვა აღმომხდა.

— დიტო! — ისევ გაიმეორა მან და შუბლზე მისი ცხელი ხელები ვიგრძენი, — რა მოგვივდა, დიტო?

მე თვალები დავხუმე და სისხლიანი ხელებით თვალები და სახე მოვისრესე.

— ეს რა ამბავია, დიტო!

ალბათ, მთელი სახე სისხლით მოვეთხუპენე. შუბლზე ჩამოყრილ თმებში ძნელად გაარჩევდით შუბლი ღრმად იყო გატეხილი თუ არა.

— ჩემი ბრალია, ყველაფერი ჩემი ბრალია, — იგი ეუოლებოდა ჩემი ბრალია, — იგი ეუოლებოდა ლიანა, ხელი სახეზე გადმოიფარა და შეიერდ. ეუცხოდა ალბათ, გაუკვირავი წვერი. მე ხელი დავუჭირე. თვალები ვიწროდ გავახელე და მის ზემოდან დაჩერებულ თვალებს ავხედე.

— ლიანა!

იგი შეცბა და ხელი გაუსწია. მე ორივე ხელი მოვხვიე მის ხელს და ლოყაზე მივიკარი.

— შენ, — ოწივლა მან, — შენ, აი, თურქე რა ყოფილხარ! — ხელი გამომელიჯა და კარები გაალო.

სად ვარბიხარ-თქო, ერთი კი ამოვალაპარაკე. წამოვვარდი და ეწვდი მკლავში. ცალი ხელით შემოეიკანე ფართხალებულთ და ჩავიკარი გულში. არაფრით არ დაშზოკა. ვითომ არად ჩამიგდია მისი წინააღმდეგობა, მაგრამ მაინც იმდენი ქნა, ვერაფრით ტუტუნებში ვერ ვაკოცე. კაცმა რომ თქვას, სხვანაირ კოცნას, მე კოცნას არც ვეძახი. არადა, ვატყობ სადაცაა გამისხლტება ხელიდან და მერე უცადე, როდის გაგისკდება საბურავი.

— მხეცო! — იკივლა მან, როცა თავი ვერაფრით ვერ გაანთავისუფლა.

მხეცი ოუ ვარ, მე შენ გიჩვენებ. სახე ორივე ხელით დავუჭირე, ხელებს შორის თავი, როგორც იყო, გავუძვერინე... მერე როგორი ბრაზი მჭირდა მისი ტუტუნებს...

თითქოს გაუუწყა. მანამდე უნდა იბრძოლო, სანამ გეწინააღმდეგებიან, მერე მეც მოვეშვი და მისი ყურის ბიბილოსთან სინანულით ავჩურჩულდი:

— ლია, იცი ლია?..

შენ ხელი მიშვიო, ერთი გასრიალდ და გადახტა.

— ლიანა! — ვიყვირე მე და ძირს ჩამოვედი, — სად მიხვალ, ლიანა!

მანქანა ირხეზე ამხტარიყო. გზას იქით აკიცალ შეანხეზოდა, ქერქი გაეცალა ხისთვის და გაჩერებულიყო.

— ლიანა! — გაძახე ბნელს, მაგრამ ხმა არავინ გაგცა.

მანქანას უკან დაეახეკინე და გზაზე გავიფეთქე. ვეძახი. ხმას ვინ გაცემს! სათადარიგო თვალი მოვარდე მანქანას და გზას დავადექი. ახ—რას მეტროზე ვაჩერებდი მანქანას და ვეძებდი. მიწას უყო პირი თუ ცამ, ვერ გავგიგიისედაც ეტყობოდა, კაი შინი ჯამა, მე კოდეკ უფრო გავუხეთქე გული და ის იყო და ის, მას მერე სათოფედ არ მიმიკარა.

აბა დღეს, აბა ხვალ, გაგიგონია, ვინ გაცემს ხმას! აგერ ერთი ავირა, მეორე, თვალით დანახვაზად არ ეუნდევიან. არა და, რა ვქნა, მეც კაცი ვარ... გამიჭირდა, ნამეტანი გამიჭირდა. რაკა დაემალო და მიუვარს, ნამეტანი მიუვარს. სადმე რომ ხელში ჩამაგდებინა, რა ვქნა, ეეტუკეი, რომ მიუვარს, რომ მას იქით გზა არა მაქვს. თან ამასაც ვფიქრობ, ეეტუკეი კი? რაფერ ვუთხრა ქალს, რომ მას იქით გზა არა მაქვს? მოკავდები და ვერ ეეტუკეი.

აბა დღეს, აბა ხვალ, ღამე ძილი არა მაქვს და დღე მოსვენება.

მწონავი ორნაკმარეკეი. შენ გამოაპარებ რამეს?! პირდაპირ ცეცხლზე დამდგი. ორივე ქმრის ჯინი ჩემზე ამოიყარა.

აქ მკრეფავებმა დაიდეს ენის წყერზე და სოფელს მეტი აღარაფერი აქვს სალაპარაკო და თავის შესაკეცავი.

ჯანდაბას, მისგან რომ მაინც რაიმე სიკეთე იყოს. მმ მხარეს გამოხედვაც არ უნდა, საითაც მე ვეგულები.

ვერსად მარტო ვერ შევიწყარი, თორემ გადაწუვეტილი მქონდა მეთქვა: ჯინდა მომკალი, ჯინდ მომარჩინე-მეთქი.

ერთი ფიქრით, ბარათის მიწერაც გადაწყვეტე, მაგრამ ვიფიქრე: მომბრუნდება და მიმტანის წინ ქალდლს თავზე გადამახეს-მეთქი.

ბოლოს ავდექი და იმ მოსახლეისას დავუდარაჯდი, სადაც მდგმურად იყო.

ჭიშკართან, როცა გოგოებს დაშორდ და ეზოში ჩამოვიდა, პირდაპირ მკლავში ვწვდი. წარმოგიდგენიათ, ხმა არ გაუღია, პირიქით, წუნარადაც კი მკითხა:

— ჩემთან გაქვთ საქმე?

— ჰო, შენთან, შენთან მაქვს საქმე... — სული ვერ მოვითქვი, გული პირდაპირ ულეში მომეხეთნა.

— ხელს რაკომ მიკერთ? — ისევ წუნარად მკითხა და მკლავი გასწია.

— არ გიკერთ, — ვთქვი და ხელი გავუშვი.

მეგონა ცოცხლად შევეკამ-მეთქი და ასე საწუალივით კი გავუშვი ხელი.

— წამოდით, აქ რას ვუდგეგართ. მართალია, დროებით, მაგრამ მე მაინც ჩემი ოთახი მაქვს.

— ოთახი გაქვთ?

— ჰო, წამოდით, თუ მართლა საქმე გაქვთ.

— საქმე მაქვს, აბა, საქმე მაქვს... იგი წავიდა.

—მოვდივარ, — მიეკახე მე და გამოვფუტენი. სახლამდე არაფერი არ უთქვამს. სახლის კიბესთან შემაჩერა და ხმადაბლა, ჩურჩულით მითხრა:

— აქ დამიცდე, გასალებს გამოვართმევ დიახახლისს.

მასპინძლის სამზადისაკენ წავიდა, რომელიც ოდა სახლის მოშორებით იდგა. ორი წუთიც არ გასულა, სამზადის კარებმა ისევ გაიჭრიალა, ჯერ პატარა, წუწკი ფინია გამოძვრა, მერე ოჯახის უფროსმა იასლტატმ გაავსო ღია კარები.

პირდაპირ ტუვიასავით მომფრინდა თითის სიგრძე, შავი ფინია და სანამ პატრონი მოვიდოდა, ორჯერ მეცა მარცხენა ფეხის კოკში. ძალი მაინც იყოს, ან უეფა იცოდეს, პირდაპირ წვიის და კიეის. ჯარასავით ეტრიალეკ, მაგრამ ამ ბნელში შავი, თითის სიგრძე ძალლის გარჩევა არ გინდა!

— მაიტ-თქვა! — მოისმა პატრონის ხმა.

ძალლი მომეშვა, მაგრამ ახლა იასლტატს შევრჩი ხელში.

— დიტო ხარ, კაცო?

— დიტო ვარ, იასლტატ ბიძია!

— ვა შე კაცო, რავა ეზოში დამდგარხარ ბერე!

— რადაც ისე...

— შე ოჯახშენებულო, სახლი გვაქვს, კარი გვაქვს, მოსახლე გვქვია...

— კი ბიძია, მაგრამ..

— აქანე არაფერი არ მითხრა, მე კაცი რომ მელაპარაკება, თვალებში უნდა შეეხედო.

ხი, ხი! — გაეიცინე მე. ჰო, რა სიცელის გუნებაზე ეიყავი!

— კი ბიძია, მართალია, მაგრამ საჩქარო საქმეზე ვარ...

— რავა, ხომ არაფერი გიკირს? — ახლოს მოვიდა იასლტატ. — გიკრის ბიკო რაგე? — გაუკვირდა, ამოდენაზე სამეზობლოდ არ დადგიდით ჩვენ.

—ისეთი არაფერი, მაგრამ უცხო სტუმრები დამეცა, არ ველოდი ისე...

— მერე?...

— მერე, ქალაქელი ხალხია, ხომ იცი და... კარგი ღვინო მინდოდა. მეც მაქვს ჩემი, მაგრამ სიცხემ დაკარა, ცოტა მოიკვანება...

—შენს ღვინოს აკეიდნენ და რა ღმერთი გაუწყრა... მე, ჩემო ბიძია, გაგონილი ვეეჩენა, არ ყეიდი ღვინოს, ოჯახი მაქვს, მტერი მყავს და მოყვარე, თუ ისე ძალიან გიჭირს, ერთ ფუთამდე ისე გაგატან.

— მაშინ, იყოს, იასლტატ ბიძია...

— არა, უარი კი არ მითქვამს.

— არა, არა, ისე მოვედი, ამბის გასაგებად.

—მეზობელი ხარ, მეზობელი ყქვია, ეიდვით არ ეყიდი თუ არა, ისე წაიდე...

— არა ბიძია, ახლა ხომ ხედავ, — ხელები გავასავსავე, — ეეტუკეეი არა მაქვს, არ მეჩქარება. ხვალ, ზეგ... — შეეტრიალდი და უკან მოეუსვი.

— დიტო, ბიძია, მომიადე, კი არ ეეწუნინოს,მეზობლები გვქვია...

— არა, ბიძია იასლტატ, შენი ეიერიმე, არაფერი არ მწუენია, შენი დიდი მადლობელი ვარ... შეეგუნეე... მერე...

ეიშვერე ფეხი და უკანმოუხედავად მოვუსვი...

გადმოვვარდი გადმოლმა და მივდივარ. მივდივარ ტუვიასავით. ვასკდები ჩემს გულს, ეს რა მოქმა, ეს რა გამიკეთა. მარა, ამას რას ვერჩი, ოჯახთან რა საქმე მაქვს, მე ვარ დამნაშავე, მე ვარ შტერი და სულელი. უარესი მეკუთვნის, ის ნამეტანი კარგი გოგოა, მე რომ ქკუის ნასახი მომცა, აკამდე მოვუვლიდი თავს.

მივდივარ, მივდივარ, გავცდი ჩემი ეზოს გადასახვევს, მივდივარ, შეეუხვიე კანტორის ეზოში. ავირბენე კიბე, შეევარდი თავმჯდომარესთან, პირდაპირ პირში წავკრთვი სიტყვა და ვუთხარი:

— ახლავე, ამ წუთს დაწერე ბრძანება და გამიშვი-მეთქი.

თავმჯდომარემ ხელით მანიშნა უკან დაიწიო და საუბრის გაგრძელება დაპირა.

— გამიშვი! — ეიუვირე მე, — გამიშვი, რა გინდათ ჩემგან, აკამდე ხომ ვმუშაობდი, ხომ ვერ ეტყვით, რომ არ ვმუშაობდი. ახლა გამიშვით, მეტი ალარ შემიძლია!

— სად გაგიშვათ, რაზე მელაპარაკება? — ოთახში მოოფთ მიებრუნდა იგი.

— სად და სადაც მე მინდა, აქედან გამიშვით, არ მინდა თქვენთან მუშაობა, აკ, ამ სოფელში არ მინდა, კაცო, ხომ გეუბნებით, არ შემიძლია მეტი, ხვალ დილას, ამაღამვე მივდივარ, მივდივარ და როგორც გინდათ.

კარები გამოვიხურე და ახლა უკან წავედი სახლში. დედაჩემისათვის არ მინდოდა უცაბ გამემბილა რაიონში ჩემი გადასვლის ამბავი, მაგრამ ვერც ისე დავმაგრდი. ესლა უნდოდა საწუალ ქალს, გული ისედაც ძაუზე ჰკიდია, მაგრამ არც აქ გაჩერება შემეძლო და მეორე დილით უთენია გავუდექი გზას.

ჯერ „ბაკსზე" მინდოდა მოწუობა. ერთ-ორ ნაცნობ შოფერს გამოვკითხე ამბავი. გაეცინათ.

„ბაკსზე" მოწუობა ჩემი ძმაო,— თქვა ერთმა და კარგახანს იფხანა კეფა.

— მე მეორე კლასის შოფერი ვარ, შენ ის ზომ არ გგონიავარ?

— შენ რა? მე „ლეგენდაეეი" გეკონიან? ფეთაკლენდაზ ... ეეე

ქართულ მწერლობას საუკუნეების მანძილზე შეუქმნია სწორუპოვარი, ჩრდილოეთკავკასიელი ძეგლები. მათი თვალსაჩინომპრეული ეღვანება ჩვენს ხალხს ათბობდა, აციცხლებდა და უკეთესი მერმისისაკენ უწევნებდა გზას. ცეცხლსა და ქარიშხლებში გამოკაჭარბული და ჩვენამდე მოღწეული მხატვრული სიტყვის პირველივე ნიმუშები გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულის წმიდათაწმიდად გრანნმთა და ხულისკვეთებით.

დიდი და განუსაზღვრელია ძველი ქართული მწერლობის, ქართული რომანტიზმის, ადრეული რეალიზმის, მთელი მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური მემკვიდრობისა და უანდესი ქართული ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ჩვენმა ხალხმა სისხლხორცეულად შეიგრძნო და შეიყვარა მშობლიური ლიტერატურა — უკედავი და უმრეტი სულიერი სიმდიდრე, ერის საუნჯე, გული და სული მიადევნა გულისა და სულის შემამვნელი, ხარის ტყავსა თუ ქაღალდზე დაწერილ თავისი ჭირისა და ლხინის თანაზიარ ნაწარმოებებს. ჩვენი ხალხი ხარობს და ამაყობს თავისი ფასდაუდებელი სულიერი სიმდიდრით, სულიერი საუნჯით — დიდებული ქართული მწერლობით, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანულ ეროვნულ დაიბადა.

...სწორედ ამიტომ, საქართველოს სსრ საბჭოეთ და ახალგაზრდობის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა" გადაწყვიტა გამოეცა ქართული კლასიკური მწერლობის ბიბლიოთეკა „ჩვენი საუნჯი".

და აი, მეკითხველმა მიიღო ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ამ ბიბლიოთეკის ოცეული ტომი. ტომებში შეკანილია ყოველი თვალსაჩინო და ჩრეული, რაც კი შეუქმნია ქართულ მწერლობას, ჩითაც მიუღია სულიერი საზრდო ქართველ ხალხს, ყოველივე ის, რაც კი შეიძლება შეეფიცეს ერის საუნჯეში.

„ჩვენი საუნჯის" რედაქტორებად, შემდგენლებად, რეცენზენტებად გამომეცდნლობას მოუწვევია მეცნიერებისა და ლიტერატურის ცნობილი მოღვაწენი. მათ მთელი ძალა და უნარი დაუპანიათ იმისათვის, რომ „ჩვენი საუნჯე" — ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშებმ მთლიანად გამოყენმის ეს პირველი ცდა, რაც შეიძლება სრულყოფილი გამოსულიყო. მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ამ დიდ და საშვილიშვილო საქმეში აქტიური მონაწილეობა მიუღია „ნაკადულის" მთელ შემოქმედებითს კოლექტივს.

„ჩვენი საუნჯის" ტომები განლაგებულია შემდეგნაირად:

პირველი და მეორე ტომი — ძველი მწერლობა (იაკობ ცურტაველი, იოანე სანანისძე, გიორგი მერჩული, ეფრემ მცირე, დავით ალმაშენებელი, არსენ იყალთოელი, „ვისრამიანი", მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, ილანე შავთელი და სხვა); მესამე ტომი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი"; მეოთხე ტომი — თეიმურაზ პირველის ლექსები და პოემები, ნოდარ ცციშვილის „პარამეურიანი" („შვიდი მთიები"), არჩილის პოემები მეტკვიდრეობა, ოიოს საკაძის „დედმოურაკიანი"; მეხუთე ტომი — სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა", „მოგზაურობა ევროპაში", ვახტანგ მეექვსე, „ქილილა და დამანა", მამუკა ბარათაშვილის „დავითიანი", თეიმურაზ მეორე, საიათნოვა, ბეხიკი, ღირიკული პოემა „ნარგიზოვანი"; მეექვსე ტომი — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ლაგრენტი არდაზიანი, დანიელ ჭონქაძე; მეშვიდე ტომი — ილია ჭავჭავაძის ლექსები, პოემები და მოთხრობები; მერვე ტომი — აკაკი წერეთლის ლექსები, პოემები, დრამები და მოთხრობები; მეცხრე ტომი — იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გიორგი ჯალაღანიები, მამია გურიელი; მეათე ტომი — ანტონ ფურცელაძე, ნიკო ღონორები, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, იოსებ დავითაშვილი; მეთერთმეტე ტომი— ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები; მეთორმეტე ტომი — ვაჟა ფშაველის ლექსები, პოემები, მოთხრობები და პიესა. მეცამეტე ტომი—ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები; მეთოთხმეტე ტომი — დავით კლდიაშვილის მოთხრობები; მეთხუთმეტე ტომი — ვასილ ბარნოვის, მოთხრობები, აკაქი წერეთლის პიესები; მეთექვსმეტე ტომი—შიო არაგვისპირელი, პარანა, დუტუ მეფილეი, ანასტასია ერისთავ-ხოტარა, თედო რაზიკაშვილი; მეჩვიდმეტე ტომი — ირაფლი ჭავჭავაძეი, ჭოლა ლომთათაიე, ნოე ჩხეიძეაძე, ვიარაღი, შიო მღვიმელი, გიორგი ქეჩაქიძელი; მეთვრამეტე ტომი — ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები, ზალეკ დადიანის პიესა „ბეგარა", „ბოლო", „ბარგაფლეთა", მეოცე ტომი — გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსები.

ტომები, რომელიც „ამან" მოთხოვდა, დაერთო შემაკავლი წერილები, განმარტებანი და ლექსიკონი.

„ჩვენი საუნჯე" მხატვრულად გაფორმა ლადო გრიგოლიამ.

რედაქტორები, ცალკეული ტომების შემდგენელთან, გამომცემლობის მუშაკებსა და სარედაქციო საბჭოს წევრებს თავიანთი შრომით, რჩევითა და მხარდაჭერით დიდი წვლილი შეუტანიათ ქართული მწერლობის ამ ოცტომიანი ბიბლიოთეკის გამოცემაში.

„ჩვენი საუნჯის" გამოცემა საქართველოს სსრ საბჭოთა და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა" განსორიელა 1960-61 წლებში და იგი მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაფყანების მარჯვიც ულისთვის.

ამ შესანიშნავი თაოსნობის განხორციელება ერთხელ კიდევ მეტყველად ადასტურებს საბჭოთა ხელისუფლების, მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველ და სათუთ დამოკიდებულებას ხალხების მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ეროვნული „კულტურისადმი, რომელიც აღდგა და წარუშლელი დიდებით შეიმოსა ჩვენს დროში.

ELIBRARY.GE

## ისი თუ ალა ეკენ?

...რომ საქართველოს მცენარეული საფარველის ფრავალფეროვნებით საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი უკავია.

...რომ საბჭოთა კავშირში ხორბლის ყველაზე მეტი სახეობა ჩვენს რესპუბლიკაში შემონახული.

...რომ საქართველოზე მოდის ჩვენი ქვეყნის ჩაის წარმოების 97 პროცენტი, ხოლო ციტრუსების 98 პროცენტი.

...რომ ჩვენს რესპუბლიკაში ტუეს მთელი ტერიტორიის 32 პროცენტი უკავია. საქართველოში გვხვდება დაახლოებით 400-მდე ჯიშის ხე და ბუჩქი.

...რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთ კუთხეში არ არის შემონახული ეურძნის იმდენი ადგილობრივი ჯიში, რამდენიც საქართველოში.

რომ საქართველოში ყველაზე მშრალი და ცხელი ადგილია ელდარის ველი, რომელიც მდინარე ივრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

რომ საქართველოში 1000-ზე მეტი სხვადასხვა მინერალური წყალი და სამკურნალო ტალახი მოიპოვება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არ იყო არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება, რესპუბლიკაში ახლა მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 175 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულება.

☆

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე— უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე გამოიცა დაახლოებით 6 ათასი წიგნი — ერთი მილიონი საერთო ტირაჟით, საბჭოთა საქართველოში ახლა ყოველწლიურად გამოდის 2500-მდე წიგნი, 10 და მეტი მილიონი საერთო ტირაჟით.

☆

ყოველ ათას სულ მოსახლეზე მოსწავლეთა რაოდენობით საქართველო უსწრებს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას. ყოველ ათას კაცზე სწავლობს სამჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, 8-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში, 18-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

☆

უკანასკნელ 2-3 წელიწადში რესპუბლიკაში აშენდა საცხოვრებელი სახლები 2 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, ეს კი რევოლუციამდელი საქართველოს ქალაქების მთელ საცხოვრებელ ფონდზე ორჯერ მეტია.

☆

საქართველოში ამჟამად იღებენ თითქმის 42-ჯერ მეტ ქვანახშირს, ვიდრე 1913 წელს.

საქართველო ამჟამად მეტ ელექტროენერგიას უშვებს, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური უშვებდა. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებს 8-ჯერ უფრო მეტი ელექტროენერგია, ვიდრე თურქეთში; ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურები ამჟამად აწარმოებენ გაცილებით მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე პაკისტანის, ირანის, ერაყის და აფღანეთის ელექტროსადგურები ერთად.

☆

საქართველოს მეტალურგიის სიამაყე რუსთავი გაცილებით მეტ ფოლადს უშვებს, ვიდრე შეეცია, ნორვეგია და დანია.

## ორმოცდამეერთე გაზაფხული

(რას გვიამბობენ ციფრები).

☆

საქართველოს სამრეწველო პროდუქცია ხაზზეკარგეთის 55 ქვეყანაში იგზავნება.

☆

საბჭოთა კავშირის თამბაქოს ექსპორტის 70 პროცენტი საქართველოზე მოდის.

რევოლუციამდელ საქართველოში ჩაის პლანტაციებს ეკავა 900 ჰექტარი, ამჟამად ჩაის პლანტაციებს 50 ათას ჰექტარზე მეტი უკავია. შვიდწლედის ბოლოსათვის საქართველოში მივიღებთ 200 ათას ტონა „მწვანე ოქროს", რაც მთლიანად დაკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მზრომელების მოთხოვნილებას.

☆

მომავალ წელს ჩვენს ქალაქებსა და მუშათა დაბებში მარტო სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 473 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი, ანუ 10.000-მდე კეთილმოწყობილი ბინა.

ნახ. ა. ბალაბუევისა

ქართულმა თეატრმა დაჰკარგა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი, სიცოცხლითა და შემოქმედებითი ხალისით აღსავსე რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვასო პავლეს ძე უუშუტაშვილი.

ვასო უუშუტაშვილი, ბავშვობის აღრეულ წლებშიე გიიტაცა თეატრმა, თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლის დროს იგი მონაწილეობას ღებულ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში.

1913 წელს ვასო უუშუტაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტშია, სწავლობს კომისარიატსაკენ. სახელმის დრამატულ სტუდიაშიც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მას პეტროგრადში მოუსწრო. ნოიელი არმის ნაწილებში ვასო უუშუტაშვილმა თეთრმოძმეები ძალინი რამდენიმე სპექტაკლი ჩარმოადგინა.

ახალგაზრდა ვასო 1918 წლიდან სამშობლოშია და თბილისის სახალხო უნივერსიტეტში მუშაობს პედაგოგად. თბილისის ოპერის თეატრში ამ წელსვე დადგა სოფოკლეს „ანტიგონე".

საქართველოში მენშევიკების ბატონობის ქაოსე წლებში ვასო უუშუტაშვილი, სოფრანგეთში მიემგზავრება და პარიზის ცნობილ თეატრებში ზედიზედ დგამს, შთამბეჭდავ სპექტაკლებს, აარსებს საკუთარ თეატრს-ატელიეს, რომელიც შემდეგ გადაიქცევ მონ-მარტრის ქუჩაზე. აქ შეუდარებელი ოსტატობით დადგა გოლდონის „მარაო".

მომდევნო წლებში ვასოს ამერიკაში იწვევენ. მოუფლეთი შემოქმედი ნიუ-იორკის სცენაზე წარმატებით ახორციელებს კლასიკური ოპერეტების დადგმას, ხელმძღვანელობს ნიუ-იორკის ენსპერიმენტულ-ლაბორატორიულ დრამატულ თეატრს. მაუურებელმა ალფრთოვანებით მიიღო მის მიერ დადგმული ოფენბახის ოპერეტები. აქვე წარმატებით გიიმღერა გოლდონის „მარაო" და მაურუტელის უჩვენა რუსული კლასიკური პიესები: ჩეხოვის „ალუბლის ბაღი", გორკის „ფსკერზე" და სხვა.

დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებული ვასო უუშუტაშვილი, 1933-34 წლის თეატრალურ სეზონში, სათავეში ჩაუდგა ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. მალე იგი თბილისის მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გადმოვიდა და მოელი 25 წლის მანძილზე შეუნელებელი შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა.

მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში კიდევ უფრო გაშალა ფრთები ვასო უუშუტაშვილის ხალისმა, დიუკერომელმა ნიჭმა, საქვეკნად ცნობილი გახდა მისი რეჟისორიული შესაძლებლობანი.

სხვადასხვა დროს ვასო უუშუტაშვილი, მოღვაწეობდა ზუგდიდის, გორის, სოხუმის დრამატულ თეატრებში.

თუ მარჯანიშვილისა და ახმეტელის სახელები ახე ღრმად დარჩა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში, ასევე, ვასო უუშუტაშვილის სახელმაც განსაკუთრებული და სასაკო ადგილი დიიჭირა ჩვენი დღეების თეატრალურ ისტორიაში

# ჯეშმარიტი მხატვრის თვალით

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ფართო და შინაარსიანი გზა განვლო. ქართველმა მწერლებმა შექმნეს ღრმად იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ბეგრმა მათგანმა საერთო პატიკისცემა და აღიარება მოიპოვა მთელს საბჭოთა ლიტერატურაში.

საქართველოს მწერალთა კავშირმა ლენინური პრემიის მოსაპოვებლად წარადგინა მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატების — ალექსანდრე ქუთათელის ორტომნიანი რომანი „პირისპირ" და დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი".

ალექსანდრე ქუთათელი და დემნა შენგელაია ქართული საბჭოთა მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. ისინი საბჭოული ახსარეზზე ჩვენს ეპოქაში გამოვიდნენ და თავიდანვე მიიპყრეს ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მათ ნაწარმოებებს მუდამ სიხარული და ეუმშარიტი ესთეტიკური სიამოვნება მოუნიჭებია ჩვენთვის. მათი მოთხრობები გამსჯავრებულია ნათელი ანრითია და მაღალი ინტელექტით.

დემნა შენგელაიას „განძი" და ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ" ჩვენი ეპოქის მყარი და მართალი მხატვრული ქმნილებებია.

„პირისპირ" გასაოცარი სიზუსტითა და უშუალობით გადმოგვცემს ქართველი ხალხის ახლო წარსულს, ფართოდ მოიცავს მეოცე საუუნის დასაწყისის დამახასიათებელ ამბებს. ქუთაისელის ეს რომანი ვრცელი მატიანეა, მთელი ეპოქეა ტანჯვისა და ტკივილებისა, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. მწერალმა წარმულელი ფერებით დადგინახატა ქართველი მუშის, გლეხისა და ინტელიგენტის შთამაგონებელი სახეები, ერთმანეთს დაუკავშირა რეალური და ფანტაზიით შექმნილი ამბები, ხასიათები, პერსონაჟები.

„პირისპირში" ალექსანდრე ქუთათელმა გამედელად მიმართა გამოსახვის ახალ საშუალებებს და რომანი მორეულ ფორმამდე აიყვანა. ფართო მასშტაბით გამოსული სიუჟეტი ორგანულოდა მიერწყმული საზოგადოებრივი და ინდივიდუალური, წინა ქალაქზეა წამოწყული ხალხი; რომანის ფაქტურაც და იდეურ-მხატვრული გააზრებაც ახლებურია.

დემნა შენგელაიას „განძი" რთული ფსიქოლოგიური ნაწარმოებია. მკითხველი ეცნობა ერთი ახალდშექმნილი პატარა ოჯახის დრამატიზმით სავსე ცხოვრებას. შესანიშნავმა მწერალმა ოსტატურად დაგვიახატა ნამდვილად სწორი და უტყუარი სახე საულიასი, რომელიც ძველიდან მომავალი ჩვენკენის ბრძა მსხვერპლი ხდება.

მწერალი საულიას აფორიაქებულ სულიერ ცხოვრებას გვაცნობს. საულია ვეღარ ულებს მარტოობას. ცოლს ყველაფერს უმედაენებს. იხსნება შეიჭრილი ავანმა. ამ ეპიზოდში მოთხრობა ტრაგიკულ ელერადონამდე აღის. ფუნდუ აღშფოთებულია: ნუთუ ამ ოჯრომ გადაკვარა მისი ქმარი. ეს სიმდიდრე ხომ საკვეყნოა. ნაარმალია ვის შეერგება?!..

მეფსიერებაში რჩება ოსტატურად დახატული პერსონაჟები. საულიასა და ფუნდუს გვერდით ეოცხლად დგანან ფუნდუს აღმზრდელი კესანე, რეკინიზზის დარაჯი ოტია.

ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირ" და დემნა შენგელაიას „განძი" თანამედროვე ქართული ლიტერატურის დიდი შენაძენია.

# „ვიუბრალოდ ქართველებმ და საქართველოს!"

(ნაზიმ ჰიკმეთის დაბადების 60 წლის გამო)

საქართველო მარტო იმიტომ უნდა მიუკვირდეს, რომ იგი იყო პირველი საბჭოთა მიწა, სადაც ფეხი დადგა მეოცნებე, გამოოცდილმა თურქმა, რომელსაც ნაზიმ ჰიკმეთი ერქვა...

მას შემდეგ ბევრჯერ ვეოფილვარ საქართველოში, ულამაზეს თბილისში, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება ტაბილუე-ტაბილი მოგონებად დარჩება.

ჩემი ახალგაზრდობა ახლაც სეირნობს ძველი თბილისის ვიწრო, მემწვანილეებით და მემწვნეებით სავსე ქუჩებში.

მე მიუკვირს საქართველო, ქართელი, აკაკი, აფაზაკაი, მე მიუკვირს თქვენი გმირული წარსული, თქვენი ლიტერატურა, თქვენი მწერლები და პოეტები, რომლებიც ჩემი ძმები და ახლო მეგობრები არიან

მე ვამაყობ, რომ თქვენი მომთხოვნი მაყურებლის წინაშე წარმატებით იდგმება ჩემი პიესები.

ჩემთვის უდიდესი მხატვარია ფიროსმანაშვილი. მან განმაცვიფრა და ვისურვებდი, როგორც საბჭოთა ინ სხვა ქვეყნის ხალხს კარგად შეეხედნეალთ ეს კიდევ შეუხედველი ხელოვანი.

ქართული სიმღერები? ო, ეს შემოქმედება! ეს სიყვარულის, სილამაზისა და ვაჟკაცობის! ამბრნა!..

ამ რამდენიმე ხნის წინათ, როგორც მსოფლიო მშვიდობის საბჭოს წევრი, მონაწილეობას ვიღებდი სტოკჰოლმის სესიის მუშაობაში.

ჩემი ინ ყოფნა საქართველოს ცნობილ მოცეკვავეთა ანსამბლის გასტროლებს დაემთხვა.

შვიდება ცივი და აუღელვებელი ხალხია, მაგრამ უნდა გენახათ მათი სახეები, მათი აღფრთოვანება თქვენი მოცეკვავეების ჯადოსნური ცეკვებით. დარბაზი ინგრეოდა ტაშით და სიბეთა მეგობრებთან ერთად მეც ვამაყობდი ქართველი ხალხის წარგზავნილების წარმატებით. კონცერტის შემდეგ საუბარი მკონდა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან, ისინი მოაჯადოვეს ქართველებმა. გავიმეორებ მათ სიტყვებს—ვნახეთ საოცრება.

მე თურქი ვარ, მაგრამ ჩემს ძარღვებში ცოტა ქართული სისხლიც ფეთქავს. დედაჩემის წინაპრები ხომ ქართველები იყვნენ. ხშირად გიიგონებ. დიდ ჩვენს ოჯახში კაშნის, ცრემლისა და შეფერძნობის სუნი ფოფინებს! ქართველ სიმღერებს... ქართველი ქალი! ქართველი დედა!—ისევ-ერთ მათზე, ისინი, ხომ სათაყვანებლი არიან!..

საქართველოზე საათობით შემიძლია ვილაპარაკო. მე ეწუხვარ, რომ ახალ. 1962 წელს, ჩემს ქართველ მეგობრებთან ერთად ვერ შეეხვედ. მომავალ. 1963 წელს კი აუცილებლად თბილისში, ჩემთვის ახლობელ ქალაქში შეეხვედები, თავაწეული დავდგები სახელგანთქმულ ქართულ სუფრასთან და, მიუხედავად სამოცი წლისა, რომელიც ახლა მისრულდება, ახალგაზრდულო, ვაჟკაცური, ქართველური სისხლისით ავიღებ სასმისს და ბრაგალჯერ მონატრებულ სადღეგრძელოს დავლევ. გაუმარჯოს ქართველებს და საქართველოს!

ნაზიმ ჰიკმეთი

## ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲠᲘ ᲘᲒᲝᲠᲘ ᲛᲘᲥᲐᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲛᲘᲥᲐᲕᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲡᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

— ᲐᲮ, ᲛᲔᲠᲘᲫᲔᲜ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

Ნ

# საქართველო

**მურმან ლებანიძე**

ბარე ორმოც საუკუნეს,
რაც კი ქართველს
თავი ახსოვს,
„მრავალუამიერს“ აგუგუნებს
და ჩუქურთმას
ხმაში აქსოვს.

სვეტიცხოველი —
საოცარი —
კაცს რომ გელნდება ძილში!
ერთი „ვეფხისტყაოსანი“
და სამასი ვაზის კიბე!

ციხეები — დაკბილული —
ლაჟვარდები რომ
გადალობეს!

ჩვენი „ლილეოს“
ხმა გმირული,
ჭკვაზე რომ შლის
ტკვათამყოფელს!

და მე გეკითხები მურმან, —
(თავი სხვამაც გაიმართლოს!)
ვით გაგიძლოს ვაჟკაცს
გულმა,
ყოველივე ამის პატრონს?!

ანუ რა იმედი გქონდეს,
რომ წლებმა ვერ
გადაგთელოს,
ამის ფასს და ამის ოდენს
რას უტოვებ
საქართველოს?!

ან რით გინდა შენი მოსვლა
ქვეყანაზე გაამართლო,
ვეფხის წიგნს და
იმის მგოსანს
შენ რა გაქვს, რომ
დაამტკო?!

ბარე ორმოც საუკუნეს,
რაც კი ქართველს
თავი ახსოვს,
„მრავალუამიერს“ აგუგუნებს
და ცის ფერებს
ხმაში აქსოვს.

...ახე ჰყვება მგოსნის ჩანგი,
მაგრამ ირგვლივ თვალს
მოვავლებ,

შემახსენებს უცებ ჩანგი,
რომ ახლისაც
ვარ მოვალე.

და შეგძახებ:
„ვაშა ახლებს,
არც ხვალის დღეს ვეი
ბალებს!
ბუბა — უბერებელნო
და უახლეს
ტოტებს ამყრის!

გაუმარჯოს მწვანე მიწას,
საქართველოს მარადმწვანეს,
იმის წინსვლას, იმის მიზანს,
იმის დღეს და იმის ხვალეს!



# „ირანის სენთეზი“ უჭირს

ძველი კულტურისა და დიდების მქონე ირანი დღეს აღმოსავლეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანაა, ირანის ოფიციალური წრეებიც კი ვერ უარყოფენ იმას, თუ რა აუტანელ პირობებშია მოქცეული ირანელი ხალხი. პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ უარყოფა მშრომელთა ცხოვრების პირობები ირანის შაჰისა და მისი მთავრობის უგუნური პოლიტიკის შედეგად.

ირანის ძირითადი მწარმოებელი კლასი— გლეხობა სრული ეგზისტენციის გზაზეა დამდგარი. გლეხები, მძიმე შრომის მიუხედავად, ისე მცირე რაოდენობის შემოსავალს იღებენ, რომ ძლივს ჰყოფნით ოჯახის წევრების გამოსაკვებად. ბევრ მათგანს წარმოდგენაც კი არა აქვს, თუ რა არის შაქარი. მათი ძირითადი საკვები სხვადასხვა მწვანილეულია. ირანში ყოველ 25 ათას მცხოვრებზე საშუალოდ ერთი ექიმი მოდის, ხოლო ზოგიერთ სოფლებს და რაიონში სრულიად არ არის სამედიცინო მომსახურება. სოფლად არსებული ანტისანიტარია კი იწვევს სხვადასხვა ინფექციურ დაავადებას, რაც მუსრს ავლებს ქვეყნის მოსახლეობას.



არისტოკრატულ ყვარტალში

ირანელი ინტელიგენციის და ფინანსური მდგომარეობა მაინც წლითიწლობით უარესდება, ვინაიდან ყოველ „შეწყეულ“ დოლარზე უცხოელები დოლარსაზეგარ მოგებას იღებენ. „ამ სიბინძურით საცხე მხარეში, — წერდა — ირანელი პროფესორი მოვლაწე, სიდ ნაფისი,— სადაც ისედაც მძიმე პარი ნავთის სუნითაა გაჟღენთილი, ადამიანს სუნთქვა უჭირს“.

შაჰი და აღა ამინის მთავრობა არ დაკმაყოფილდნენ ირანის ეკონომიური გაჩანაგებით, თავიანთი პრივილეგიერებული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის მან საბოლოოდ გაამყიდეს ქვეყანა და ხალხი სამშვილი სიკვდილისათვის გასწირეს. 1961 წლის აპრილში ამაკარში გამართულ სამხედრო აჯრეფილი ბლოკის — სენტის სესიაზე გადაწყდა „სიკვდილის ზონების“ შექმნა ირანსა და პაკისტანში, რაც იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში ატომური დაბომბვის მსხვერპლი გახდება ამ ქვეყნების ჩრდილოეთი რაიონებიც, მათ შორის ირანის ქალაქები: თავრიზი, ჰამადანი, ფაქლევი, მეშჰედი და სხვა, რათა მოხდეს მათი სრული განადგურება, მათი ტერიტორიიდან რადიაქტიული მოწამვლა და ამით ე. წ. „ატომური საფარების“ შექმნა ვითომდაც საბჭოთა კავშირისაგან საპასუხო დარტყმის უვნებელსაყოფად.

სენტოს დოკუმენტების გამოქვეყნებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ირანელ ხალხში. საბჭოთა კავშირი თავისი შექმნის პირველ დღიდანვე ცდილობდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა ირანთან. საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის თებერვლის ხელშეკრულების შედეგად საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ყველა იმ უფლებაზე, რომლითაც ირანში საჩაღლობდა მეფის რუსეთის მთავრობა. მან უარი განაცხადა რუსეთის მიერ გაცემულ სესხზე. საბჭოთა მთავრობამ უსასყიდლოდ გადასცა ირანს მის ტერტორიაზე არსებული რუსეთის მთავრობის უქრავი და მიძრავი ქონება, უარი თქვა კუნძულ აშურადეზე და ასტრახანის პროვინციის სხვა კუნძულებზე. ირანმა კასპიის ზღვაზე თავისუფალი ზღვაოსნობის უფლება მიიღო. სამამეფო ომის წლებშიც კი ჩვენი ქვეყანა დიდ დახმარებას უწევდა ირანელ ხალხს. ამ ბოლო ხანებში საბჭოთა მთავრობამ განაცხადა(ეცა მთელი რიგი ღონისძიებები ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის: სასაზღვრო, ფინანსური, სასაზღვრო მდინარეების ეფექტიანი რესურსების სარგებლობისა და სხვა საკითხები ირანის სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილი.

ირანელი სოფელი დღეს

მაგრამ ირანის შაჰი მოსამედ რეზა ფეჰლევი და მისი მთავრობა, რომლებმაც თავიანთი ქვეყანა უცხოელთა სამხედრო ბლოკდამბად გადაპქცეს, ატარებენ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ.

შაჰის მთავრობის პოლიტიკის შედეგად იზრდება ირანელი ხალხის უკმაყოფილება. ირანის მშრომელი მოსახლეობა იბრძვის ქვეყანაში იმპერიალისტების ბატონობის წინააღმდეგ და ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ უკანასკნელ ხანს გაფიცვების ტალღა მთელს ირანს მოეცო: გაიფიცნენ მსაზეელეებები და სტუდენტები, ტელეგრაფის მუშაკები და ტაქსის მოფრენი, მუნაციობეები და საფეიქრო დარგის მუშაკები. აღშფოთებული ხალხი აწყობს დემონსტრაციებს, ეწყობა გლეხთა ამბოხებები, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები მმართველ წრეებს ამკარად სდებენ ბრალს იმაში, რომ მათ ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანეს.

ირანელი ხალხი მოითხოვს ეროვნულ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და დემოკრატიულ უფლებებს. დღეს ყოველი ირანელისათვის ნათელი ხდება, რომ ირანის მშრომელთა პირობების გაუმჯობესების, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვების ერთადერთი გზა ნეიტრალური პოლიტიკაა, ირანელ ხალხს არ სურს თავისი ქვეყნის გადაქცევა „სიკვდილის ზონად“, მისი სწრაფვა, მისი მიზანი მშვიდობა და ხალხთა შორის ურთიერთობაა.

**ზ. შარაშენიძე,**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ალექსანდრე პუშკინი

### ძ ე გ ლ ი

Exegi monymentum.
ჰორაციუსი.

ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, მარად უკვდავი,
მას მიაწყდება ხალხის დენა ახალ-ახალი.
მიემართება ზეციმაკენ უდრეკი თავით,
ალექსანდრიულ სვეტზე მაღალი.

არა, მთლიანად არ მოვკვდები, ჩანგს ჩემი სული
შერჩეს, აციდეს ბახრწნილების დაღის დაჩენა:
მე მადიდებენ, სანამ ქვეყნად, როგორც სულდგმული,
ერთი პოეტი მაინც დარჩება.

ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი,
ყოველი ერი შემინახავს დამახსოვრებით;
სლავთა მემკვიდრე და ფინელი და ტუნგუსელი,
კალმიკი, ტრამალ ველთა მცხოვრები.

მოყვარულ ხალხში არ მოკვდება ჩემი სუფევა,
რადგან სიკეთეს უგალობდა ჩემი ჩანგური,
რადგან ვადიდე ჩვენს სასტიკ დროს თავისუფლება
და შევიგრძობ ყველა ჩაგრული.

დაემორჩილე, ჩემო მუზა, მაღალ განგებას,
ნუ შიშობ წყენასა, ნურც მოელი გვირგვინს ანთებით,
გულცივად შეხედე ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას
და რეგვენ კაცს ნუ ეკამათები.

1836 წ.

## ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო

ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო,
შენ საქართველოს სევდიან ხმაზე.
მე მაგონდება, როცა შენ გალობ,
სხვა ცხოვრება და სხვა სილამაზე.

რა ვქნა, თუ შენი სასტიკი ქნარი
ერთს მოგონებას შორეულს არხევს,
მე ვხედავ ღამეს, ველებს და მთვარით
ანთებულ ქალის წამებულ სახეს.

ძვირფას ჩვენებას, საბედისწერის,
ვივიწყებ, როცა გიყურებ თვალში,
და რაც გალობ — ისაი ჩერო
წარმომდგება უეცრად მაშინ.

ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო,
შენ საქართველოს სევდიან ხმაზე.
მე მაგონდება, როცა შენ გალობ,
სხვა ცხოვრება და სხვა სილამაზე.

1828 წ.

თარგმანი პაოლო იაშვილისა.

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

ჟურნალ „დროშას“ ეს ნომერი დაბეჭდილია საქართველოში პირველად შემოღებული „ღრმა ბეჭდვის“ წესით. ამ სახის ბეჭდვის ცდებთან დაკავშირებით ჟურნალის გამოშვება დაყოვნდა.

ჟურნალის მკითხველებს ვთხოვთ მოგვწერონ თავისი აზრი ბეჭდვის ხარისხის შესახებ.

# ქართველი ხალხური ნაქსოვი

## ქართ-ნაქსები

ნ. ჯაფარიძე

ოდითგანვე ცნობილია ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა. მის გულდაშლილობაზე, პურადობაზე, მოლხენასა და გონებამახვილობაზე ლეგენდებია შეთხზული. მაგრამ სტუმარი სხვა ხალხებშიც არანაკლები პატივისცემითა და გულთბილი უურადღებით სარგებლობს.

ყოველ ხალხს აქვს სტუმართმოყვარეობის თავისი ტრადიცია.

**ეთიოპიაში** მახასინჯელი ხახლის პარმაღთან როდი ელოდება სტუმარს. იგი მთელი ოჯახით ეგებება მას გზაში და გულთბილად ესალმება. ბავშვები ამ დროს მუხლებზე დაჩოქილი დგანან. ახალგაზრდები მდაბალ უკრავენ თავს, დანარჩენები მოწიწებით კოცნიან ლოყაზე. მერე მოსულს შინ მიიპატიჟებენ, მისცემენ მოხარშული საჭონლის ხორცს „ბრინდოს“ და ბასრ დანას. სტუმარი ამ დანით ხორცს ჭრის და, წესის მიხედვით, ბავშვებს უმასპინძლდება.

სანინტერესოა ბრაზილიაში მდინარე ამაზონის ნაპირზე მცხოვრებ **კაპაჯიკის** ტომებში სტუმართან შეხვედრის რიტუალი. მასპინძელი სტუმართან შესახვედრად გზავნის... კბილებამდე შეიარაღებულ მეომრებს. მხედრების სხეული შეღებილია საომარი ფერებით. ისინი ბაერში ისვრიან ისრებს, მერე ერთი მათგანი მიუახლოვდება მოსულს, მსუბუქად დაადგამს ფეხს ფეხზე და ყურში მისალმების სიტყვებს წასჩურჩულებს.

ეს ტრადიცია უცნაურია, მაგრამ მას თავისი გამართლება აქვს. სიტყვა სტუმარი ლათინურად არის „ხოტანისი“ და ნიშნავს მტერსაც. მართლაც, ძველ დროში მოსული უოველთვის როდი იყო სასურველი სტუმარი. ის ზოგჯერ მძარცველიც გახლდათ. სამხრეთ ამერიკის უძველეს ტკეიფრთ კი გამუდმებული ბრძოლა უხდებოდათ დაუპატიჟებელ სტუმრებთან — კოლონიზატორებთან.

**ვიეტნამელები** დღენიადაგ ასწორებენ და ალამაზებენ თავიანთ საცხოვრებელთან მისასვლელ გზებს, რათა სტუმარს გაუადვილონ მგზავრობა და მათთან უხიფათოდ მისვლა. მერე სასურველ მგზავრს ფეხებს აბანინებენ ბამბუკის ჭურჭელში და სახლში იპატიჟებენ. სადაც მას მოხალული ბრინჯის წვენით უმასპინძლდებიან.

განსაკუთრებული პატივით იღებენ სტუმარს **იაპონელები**. სტუმარი წინა ოთახში იხდის ფეხსაცმელს და ფეხშოხმუნელი ჯდება. ამასვე აკეთებს მასპინძელი. ამის შემდეგ ისინი დიდი ცერემონიით ესალმებიან ერთმანეთს, რის დროსაც ერთიმეორეს შუბლებით ეხებიან. დაალეგენებს რა სურნელოვან ჩაის, მასპინძელი სტუმარს ახაზანის მიღებას შესთავაზებს, შემდეგ მხრებზე მსუბუკ კიმონოს „იუკატას“ მოასხამს, რბილ სავარძელში ჩასვამს და გემრიელი იაპონური კერძებით გაუმასპინძლდება.

**ამერიკელი ინდიელები** სტუმრის მოლოდინში განსაკუთრებული გულმოდგინებით ირთვებიან. თავს ფერადი ფრთებით იმკობენ და მოსულს მოკრძალებით ხვდებიან. სუფრასთან პირველად უხუცესები სხდებიან, შემდეგ თეერაკნინი სტუმრები და ბოლოს ოჯახის დანარჩენი წევრები. ჭამე, დალიეთ, მასპინძლებო, ამბობენ ინდიელი ხუმრობებით ირთობენ მოპატიჟებულთ, ახალგაზრდები კი ცეკვავენ და მღერიან ბამბაც ინდიელთა უძველეს სიმღერებს.

თუ შემოხვევითი მგზავრი ან სხვა სტუმარი **კოლუმბიელის** ოჯახს ეწვია, მას პატარა, დაბალ სკამზე დასვამენ და ყველა ქალი სათითაოდ (სახლში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს) ადგილობრივ ღვინოს — „ჩიჩუს“ შესთავაზებს. საბედნიეროდ, ეს ღვინო მეტად მსუბუქია, თორემ სტუმარს ასეთი მასპინძლისაგან კარგი დღე არ დადგება.

„ნი ჩიფანლა მა?“ (ბამეთ რამე?“) — ასეთი შეკითხვით მოგმართავთ ჩინელი გლეხი, თუ ოქვენ მას სტუმრად ეწვიეთ. სხვა ეროვნების კაცს იქნება ეჩოთირეს კიდეც ასეთი შეკითხვა, მაგრამ ჩინელისათვის ეს მისალმებაცაა, ზრუნვაც და პატივისცემის გამოხატვაც. ამავე დროს ეს ფრაზა ბევრის მოქმედია და ჩინელი გლეხის დუხჭირ წარსულზე მეტყველებს.

ჩინელი მასპინძელი გულთბილად გამოგეკითხავთ ბავშვებისა და ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობაზე. წელოვანებას კი არასოდეს არ შეგეკითხებათ, რადგან ეს, მისი გაგებით, უზრდელობაა და არც არასოდეს ადგება სუფრიდან პირველი...

ტუნდრაზო თოვს. მძვინვარებს ქარბუქი, თვალუწვდენ ტრამალზე მიჰკრის ძაღლებშებმული მარხილი. ჯურჭში გახვეულ მგზავრებს შაშმილისა და დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებთან, ქარაშოტი სახეში სცემს და სუნთქვას უნელებს. მაგრამ, აი, წინ კვამლი და თოვლში ჩაფლული იურტა გამოჩნდა. **ჩუქჩამა** მასპინძელმა შორიდანვე დაინახა მარხილი და ოჯახში ფეხზე დააყენა ყველა. უცნობ სტუმარს თბილ თავშესაფარსა და გემრიელ კერძებს აბევდრებენ. მას არავინ აწუხებს შეკითხვებით — ვინ არის ან საიდან მოდის? ეს უტაქტობად ითვლება. დანაყრების შემდეგ სტუმარი თვითონ უამბობს მასპინძელთ თავის ვინაობას, ქვეყნის ახალ ამბებს. მის მოსასმენად მეზობლებიც იკრიბებიან, გრძელი ჩიბუხებს აბოლებენ და თავიანთ ვიწრო, კეთილი თვალებით უურადღებით შესცქერიან მოსულს.

ასე მრავალფეროვანი და ერთმანეთისაგან განსხვავებული სხვადასხვა ხალხთა სტუმართმოყვარეობის წესი და ადათი, მაგრამ ყოველ მათგანს საფუძვლად უდევს ადამიანისადმი დიდი სიყვარული და ღრმა პატივისცემა.

27

# ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

1770 წელს შვეიცარიაში სენსაციური ამბავი მოხდა, რომელმაც მთელი მსოფლიო აალაპარაკა.

ერთ-ერთ კონცერტზე ახალგაზრდა ქალმა შეასრულა პატარა მუსიკალური ეტიუდი. მუსიკოსი ქალი მეტად ღელავდა, მას ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. ფისკარმონზე დაკვრის დამთავრების შემდეგ იგი წამოდგა და თავის დახრით მადლობა გადაუხადა დამსწრეებს.

მსმენელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დარწმუნდნენ, რომ მათ წინ ცოცხალი ადამიანი კი არა, არამედ ოსტატის ხელით დამზადებული მექანიკური ადამიანი იდგა.

მსოფლიოში პირველი მექანიკური ადამიანი, ანუ ანდროიდი, შვეიცარიელმა მესაათემ პიერ დრომ დაამზადა. ეს იყო ბავშვის ფიგურა, რომელიც მაგიდასთან იჯდა, ხელში ბატის ფრთა ეჭირა და სხვადასხვა ფრაზებს წერდა. მას ასოება ლამაზად გამოქუაგდა, ასოებსა და სტრიქონებს აშორებდა ერთმანეთს, წერის დროს თავს ამოძრავებდა, თითქოს თვალიერს ადევნებდა, როგორ ეწერა.

პიერ დროს შვილმა გაკეთა მეორე მექანიკური ადამიანი, რომელიც სხვადასხვა ფიგურას ხატავდა.

მესამე ანდროიდი, მუსიკოსი ქალი, რომელმაც მთელი მსოფლიო გააოცა, მამამ და შვილმა ერთად დაამზადეს.

მალე რესეიგი ჩაერია საქმეში. მამა-შვილი კუდინინდად გამოიცხადეს და დიდი ხნით საპრობილეში ჩასვეს.

ნახატი-ფურნალი თ. გოგოლაძისა

# ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲝᲛᲠᲘ

ყურძნის მოყვანასა და მისგან ღვინის დაყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ვაზის სამშობლო ამიერკავკასია. ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, დღესაც გვხვდება ყურძნის გარეული ჯიშები, რომლებიც შეიძლება კულტურული ვაზის წინაპრებად მივიჩნიოთ.

ფინიკიელი მეზღვაურები პირველად კოლხეთში გაეცნენ ვაზს და ეს კულტურა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიტანეს.

რუსეთში ყურძენი პირველად ასტრახანში შემოიტანეს 1613 წელს. 1638 წელს კი კიევის პეჩერის მონასტერში პატარა ვენახი გააშენეს.

ამერიკაში წლების მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ გავრცელებინათ ვაზი. ევროპიდან ამერიკაში შეტანილი კულტურული ვაზი გაუფუჭდებელი მიზეზის გამო სწრაფად იღუპებოდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვაზის დაღუპვის მიზეზი პარაზიტი ფილოქსერა იყო, რომელიც მეცნარის ფესვებიდან წვეს წოდდა და ვაზს ახმობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფილოქსერა ამერიკიდან ევროპაშიც გავრცელდა.

დაიწყო საუკეთესო ვენახების მასობრივი გაჩანაგება. საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, საქართველოს, გერმანიისა და სხვა ქვეყნების რაიონები სრული ეანადგურებისაგან მხოლოდ ამერიკულმა ველურმა ვაზმა იხსნა. ამერიკული ვაზის ძირზე დამყნილი კულტურული ვაზს ფილოქსერა ვეღარაფერს აკლებდა.

ადამიანები ძველთაგანვე ცდილობდნენ ყურძნის სამკურნალო თვისებებს, ყურძნისთა და მისი ნაწარმით უსოფარ დროიდანვე მკურნალობდნენ სარეთო სისუსტეს, სისხლნაკლულობას, ღვიძლის დაავადებას, ნერვების სისუსტესა და სხვა დაავადებებს.

გასაოცარებით ეუთაანია ყურძნის წვენი, რომელიც ბლომად შეიცავს სასარგებლო ნივთიერებებს და თავისი ეუთაანობით რძეს უტოლდება.

ამგვარად ცნობილია ყურძნის 2 ათასამდე ჯიში, რომლებიდანაც საუკეთესო ღვინოებს აყენებენ.

ქართულმა ღვინოებმა საკმაებნენ ქვიანება ესმელი. ანაკმარისია აღინიშნოს, რომ 1878 1958 წლებ. ორ სხვადასხვა ოლიმპიადაზე ეროვნულ ღვინოებმა 4 ოქროს და 18 ვერცხლის მედალი მიიღეს. ამავე წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქართულმა ღვინოებმა დამსახურებულად მოიპოვეს 30 მედალი (მათ შორის 10 ოქროს მედალი).

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობი. 1970 წლისათვის განზრახულია ზეგრების საერთო ფართობი 200-250 ათას ჰექტარამდე გაიზარდოს.

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის სექტემბერში თბილისში გაიმართება მევენახეთა და მეღვინეთა მეათე საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც 40-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს შემოხვევით რიდი მიეცია ასეთი გადაწყვეტილება: საქართველო ხომ მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა. ჩვენმა მეცნიერებმა და მეღვინე სპეციალისტებმა დიდი წვლილი შეტანეს მდელი რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, საქართველოში შემუშავდა ღვინის დაყენების რაციონალური ტექნოლოგიის ხერხები, დადგინდა ყურძნისა და ღვინის საღებავ და მორიგლავ ნივთიერებათა ქიმიური შემადგენლობა და სხვ.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სახელოვანი მევენახეები და მეღვინეები ახალი მიღწევებით შეხვდებიან საერთაშორისო კონგრესს და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ყოველმხრივ სანმეშუმოდ წარიმართოს მისი მუშაობა.

## ᲧᲣᲠᲜᲐᲚ „ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“ № 1-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

**ვერტიკალურად: 1. ბრუნო, 2. რანგი, 3. აკინი, 4. გენია, 5. რური, 6. ტრიო, 10. ლარსი, 11. რუსთაველი, 12. გარეუბანი, 13. მეგემონია, 14. ქსილოფონი, 18. ამაყი, 19. კლანი, 20. ურანი, 21. მარაო, 27. ტრიუმი, 32. ბაბი, 33. ერმო, 34. აგური, 35. სმენა, 37. პორტი, 38. შიშა.**

**ჰორიზონტალურად: 7. ნერგი, 8. ქნარი, 9. პარტალერია, 15. თურგაი, 16. ქარსი, 17. კერესი, 22. მითი, 23. ალფა, 24. მოლატი, 25. უჯარმა, 26. ყაკა, 28. აფრა, 29. ალიონი, 30. „ᲬᲧᲘᲠᲘ“, 31. „ტიტანი“, 36. ჯალამბარი, 39. გეგმა, 40. კორტი.**



გარეკანის პირველ გვერდზე: ახალი პროექტი. (მარცხნიდან მარჯვნივ): შ. ყაფლაშვილი, ნ. ჯიშკარიანი, ვ. ქერაშვილი და თ. თეფნაძე.
ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.
მეოთხე გვერდზე: ახალი საცხოვრებელი სახლი საბურთალოზე. არქიტექტორი გ. ჩახავა.
ფოტო გ. თიკანაძისა.


რედაქტორი ა. ძიძიგური

პ/მგ. მდივანი მ. ჯიბლაძე

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციცეშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი ფ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 1-52-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოტიპოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-62 წ. გამომც. № 6. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22,000. შეკვ. № 289, უე 00011

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ნახატი-ხუმრობა ა. ერაძისა

## ორიოდე სიტყვით

იალბუზზე მიმდინარე წელს მწყობრში ჩადგება სამგზავრო-საბაგირო გზა, რომლის სიგრძე შვიდ კილომეტრამდე იქნება.

• • •

რიგაში გაიხსნა „სახიობრული შემთხვევების“ ატელიე, რომელიც მოსახლეობისა. გან დაკვეთებს იღებს საოჯახო კინოფურნალების გადასაღებად.

• • •

საბჭოთა კავშირში გასულ წელს 5 მილიონი ბავშვი დაიბადა. მოსახლეობის ასეთი დიდი მატება ჯერ არ ახსოვს ჩვენს ქვეყანას.

• • •

მეფის რუსეთში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 32 წელს უდრიდა.

• • •

საბჭოთა კავშირში ადამიანები ახლა საშუალოდ 68 წელს ცოცხლობენ. ეს მაჩვენებელი მთელს მსოფლიოში ყველაზე მაღალია.

• • •

იაპონიის კუნძულ სადოზე „ლეგორნინის“ ჯიშის ქათამმა „მსოფლიო რეკორდი დამყარა“, ერთი დღის განმავლობაში მან 18 კვერცხი დადო.

• • •

ფრანგმა მეზღვაურებმა დაიპყრეს გიგანტური კუ, რომლის სიგრძე 6 მეტრამდე აღწევს, წონა კი 820 კილოგრამია.

• • •

პარიზში დაარსდა „ოლიმპიური ლიტერატურული პრემია“, ყველაზე ცუდი წიგნისათვის.

პრემიის პირველ კანდიდატად წარდგენილი არიან „მურრლები ფოსტ ლუიზ დე ვილლალონგი და კლოდ მორიაკი.

• • •

საფრანგეთში მიმდინარე წელს გარდაიცვალა პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, რომელმაც ფრონტზე მძიმე ჭრილობა მიიღო და 45 წელი ჰოსპიტალში გაატარა.

• • •

მიჩიგანის შტატში (აშშ) შემოსულ ხილს კრეფენ... შეუიარაღებელი ჰაერით. სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ხეს ესვრიან შეკუმშულ ჰაერს, რომელიც არხევს მსხმოიარე ტოტებს და ნაყოფს აყრევინებს.

• • •

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ლიუბეკში ქორწილების საშუამავლო ბიურომ გადწყვიტა ქუჩებში დადგას ავტომატები— „მარტოხელა გული“. ორი მარკის საფასურით ავტომატი ქალიშვილებს მიაწვდის იმ მამაკაცთა მისამართებს, რომლებსაც დაქორწინება სურთ.

1905 წლისსენსაცია



1962 წლისსენსაცია

ნახ. ა. კანდელაკისა

• • •

ბულგარეთის ყურძნისაგან ამზადებენ. იგი ძვირფას ნივთიერებს შეიცავს და უდიდესი გამოყენება აქვს მედიცინაში. ბულგარეთის სხვა დანიშნულებისათვისაც იყენებენ.

## სხვა ჭ სხვა

ხანგრძლივი ექსპერიმენტული ძიების შედეგად მეცნიერებმა შეძლეს, რომ ძვირფასი ნივთიერება — ბულგარეთისაგან ეკამზადებინათ. ბულგარეთის მიღება შესაძლებელი ეახდა ბეღრის, ფიჭვისა და სხვა წიწვიანი მცენარეებისაგან.

საბჭოთა კავშირში შეიქმნა პირველი ექსპერიმენტული საამქრო, სადაც ბულგარეთს ახალი ნედლეულისაგან ამზადებენ.

☆

ბელორუსიის ერთ-ერთი ქალაქის ბორისოვის მახლობლად საოცარი შემთხვევა მოხდა: თვითმფრინავიდან გადმოხტა პარაშუტისტი. პარაშუტმა გახსნის შემდეგ ძირს კი არ დაიწყო დაშვება, არამედ ზევით-ზევით წავიდა და ღრუბლებს მიეფარა. რამდენიმე ხნის შემდეგ პარაშუტისტმა ნორმალურად დაიწყო დაბლა დაშვება.

ერთი შეხედვით ეს მეტად საოცარი შემთხვევა ადვილად ასახსნელია. როგორც ცნობილია, დედამიწის ზედაპირი, მისი მდებარეობისა და რელიეფის მიხედვით სხვადასხვანაირად თბება. დედამიწიდან აღმავალი სითბოს ნაკადიც სხვადასხვანაირია. სითბოს ეს ნაკადი ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ მას თავისუფლად შეუძლია ზევით აიტაცოს პარაშუტისტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა